


# საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საცმეში, ბატონი ბეჭდ-  
უჭი სიფყვას, ცყუილებით და ჩაბრებით ბუბ-  
თის გაფანა ყველა უჯადისდაზგე უსამაგლესია.

ოთხშაბათი, 24 მაისი. 2017 წ. №104 (8241), გამოცემის 99-ე წელი

ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ფასი 50 თეთრი.

## „ორ ქვეყანას შორის მიმდინარეობს ინტენსიური თანამშრომლობა მრავალ სფეროში“



ორ სახელმწიფოს შორის ჩამოყალიბებული სტრატეგიული პარტნიორობისა და მეგობრული ურთიერთობების ნათელი დასტური – ამ სიტყვებით შეაფასა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა საქართველო-თურქეთის მაღალი დონის სტრატეგიული თანამშრომლობის საბჭოს რიგით მე-2 სხდომის ფარგლებში გამართული დიალოგი.



## პრეზიდენტი მანჩესტერში ტირაქტს გამოეხმაურა

საპარტიველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი მანჩესტერში მომხდარ ტერაქტს გამოეხმაურა. მან მწუხარება გამოთქვა მომხდარის გამო და დალუპულთა ახლობლებს მიუსამძიმრა.



„შეძრწუნებული ვარ დიდ ბრიტანეთში, ქალაქ მანჩესტერში განხორციელებული ტერორისტული აქტის გამო, რომელსაც მსხვერპლი მოჰყვა.“

ამ განცხადების შემსახარებელი ხალხისა და პირადად ჩემი სახელით, ვუსამძიმრებ დალუპულთა ოჯახებს, მტკიცე თანადგომას ვუცხადებ დიდი ბრიტანეთის ხელისუფლებას და ხალხს, – ნათქვამია გიორგი მარგველაშვილის მიერ გავრცელებულ განცხადებაში. წუხელ მანჩესტერში, სკოტულ არენაზე მიმდინარე კონცერტზე ორი ქლიარი აჯანყება მოხდა. დალუპულია 22-მდე და დაზარალებულია 60-მდე ადამიანი. ბრიტანულმა პოლიციამ მომხდარს ტერაქტის კვალიზიკაცია მიაწიჭა.

## გიორგი კვირიკაშვილი ინგლის- სულ ხალხს სამიხარს უსხადებს

საპარტიველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი მანჩესტერში დატრიალებული ტრაგედიის გამო მწუხარებას გამოთქვამს.



„მწუხარებას გამოვთქვამ ინგლისში, მანჩესტერში მომხდარი ტრაგედიის გამო. ტერაქტს, სულ მცირე, 19 ადამიანი ემსხვერპლა. არიან დაჭრილები.“

საქართველოს მთავრობისა და ქართველი ხალხის სახელით გულწრფელ თანაგრძობას ვუცხადებ დიდი ბრიტანეთის მთავრობას, ინგლისელ ხალხს. ჩვენ მთელი გულით ვდგავართ მათ გვერდით ამ განსაცდელის დროს.“

## ირაკლი კობახიძე:

### „შეძრწუნებული ვარ“ ...

„შეძრწუნებული ვარ და ღრმა მწუხარებას გამოვთქვამ მანჩესტერში მომხდარი ტერორისტული აქტის გამო, რომელმაც 22 უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე შეინარა. განსაკუთრებით შემზარავია, რომ გარდაცვლილებს შორის არიან ბავშვებიც. ტერორიზმი არის ყველაზე დიდი საფრთხე მშვიდობისა და სტაბილურობის წინააღმდეგ. ყველას ვაღიარებ, მიუხედავად მათი სოციალური სტატუსისა თუ პოლიტიკური თანამდებობისა, გაერთიანდეს ამ გამოწვევის წინააღმდეგ და ერთობლივი ძალებით, სოლიდარობითა და თანამშრომლობით ებრძოლოს მას.“



**განვიხილავთ კონსტიტუციის პროექტს ვინ უნდა  
რა საჭიროა 94-ე მუხლი? 3**  
**ქართული მინების გაყიდვა?! - „ქართულა მოსება“!**

## რატომ ვერ გაიმარჯვეს ისტორიულად კუბინის რუსეთი 4

**მონეტარა  
მუსიკოსი  
ილიკო  
ქურხული 8**



**პალარი 6  
ჭანტურია:  
სახელოვნად  
გაპლილი გზა**



## ეკონტაქტა თუ არა ქუმივილი რუსეთის პრემიერს?

22 მაისს შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის (BSEC) დაარსებიდან 25 წლის იუბილე აღინიშნა. საიუბილეო სახელმწიფოთა მთავრობის მეთაურები და წარმომადგენლები ესწრებოდნენ. საქართველოს დელეგაციას სტამბოლში ვიცე-პრემიერი და ფინანსთა მინისტრი დიმიტრი ქუმივილი ხელმძღვანელობდა. რუსეთიდან კი სამიტს ქვეყნის პრემიერ-მინისტრი დიმიტრი



მედევეცი ესწრებოდა. სამახსოვრო ფოტოზე ვიცე-პრემიერი კვირიკაშვილის რუსი კოლეგის გვერდით მოხვდა. შედგა თუ არა რაიმე ფორმით რუსეთის მთავრობის თავმჯდომარისა და საქართველოს მთავრობის ვიცე-პრემიერის კომუნიკაცია, ამის გასარკვევად „პირველი რადიო“ ვიცე-პრემიერის პრესსამსახურს დაუკავშირდა, სადაც ჩვენს სატელეფონო ზარებს არ უპასუხეს.

# „ორ ქვეყანას შორის მიმდინარეობს ინტენსიური თანამშრომლობა მრავალ სფეროში“

ორ სახელმწიფოს შორის ჩამოყალიბებული სტრატეგიული პარტნიორობის და მეგობრული ურთიერთობების ნათელი დასტური — ამ სიტყვებით შეაფასა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვიციანი საქართველო-თურქეთის მაღალი დონის სტრატეგიული თანამშრომლობის საბჭოს რიგით მე-2 სხდომის ფარგლებში გამართული დიპლომატიური და მას ურთიერთობების გაღრმავების მიმართულებით, ორი ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლების მიერ გამოხატული მკვეთრი პოზიცია უნდა. სტრატეგიული თანამშრომლობის საბჭოს სხდომას, რომელიც საქართველოსა და თურქეთის პრემიერ-მინისტრების ხელმძღვანელობით გაიმართა, მინისტრთა კაბინეტის წევრები დაესწრნენ.

მისასალმებელ სიტყვაში საქართველოს მთავრობის მეთაურმა მადლობა გადაუხადა თურქეთის ხელისუფლებას საქართველოს მხარდაჭერისთვის და აღნიშნა, რომ საქართველოს სახით თურქეთს ჰყავს ერთ-ერთი პარტნიორი. გიორგი კვიციანი შეიქმნა საზღვარგარეთ მსოფლიოს წინაშე არსებულ გამოწვევებს. მისი თქმით, რეგიონალური არასტაბილურობის პირობებში, კიდევ უფრო დიდ ღირებულებას იძენს საქართველოსა და თურქეთის შორის არსებული სტრატეგიული თანამშრომლობა და მაღალი დონის პოლიტიკური დიალოგი.

„საზღვრის უნდა აღინიშნოს, რომ ორი ქვეყანას შორის მიმდინარეობს ინტენსიური თანამშრომლობა მრავალ სფეროში. საქართველოსა და თურქეთს თანამშრომლობის წარმატებული გამოცდილება და

მნიშვნელოვანი პერსპექტივები აქვთ მსხვილ სატრანსპორტო-ენერგეტიკულ პროექტებში. არ შეიძლება, არ აღინიშნოს ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის პროექტი, რომლის პირველი განსტობების დასრულებაც 2017 წლის ზაფხულისთვის არის დაგეგმილი. ეს პროექტი, სამხრეთის ენერგეტიკული დერეფნის პროექტთან ერთად, მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სატრანსპორტო მარშრუტების დივერსიფიკაციას და უკეთ წარმოაჩენს პროექტის მონაწილე საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის ეკონომიკურ მნიშვნელობას და ასევე ჩვენი სამხრეთი თანამშრომლობის მნიშვნელობას. ეს კორიდორი არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სეგმენტი „აბ-

რეშუმის გზის“ ალორძინების დიდი პროექტის, რასაც კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი სულ რამდენიმე დღის წინ ჩინეთში გამართული სამიტის დროს,“ — განაცხადა გიორგი კვიციანმა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ყურადღება გაამახვილა სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავების შესაძლებლობებზე. თურქეთის პრემიერ-მინისტრის განმარტებით, ბოლო 25 წლის მანძილზე თურქეთმა გააფართოვა ურთიერთობები საქართველოსთან და დღეს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საქართველოსთან შემდგომი თანამშრომლობის გაღრმავებას. ბინალი ილდირიმის თქმით, საქართველო-თურქეთის მაღალი

დონის სტრატეგიული თანამშრომლობის საბჭოს სხდომის ფარგლებში გამართული დიპლომატიური მიანიშნებს ორი ქვეყნის ურთიერთობების ახალ ეტაპზე გადასვლას, სადაც მხარეებს შესაძლებლობა აქვთ, სიღრმისეულად განიხილონ ყველა საკითხი და იმსჯელონ თანამშრომლობის განვითარების შემდგომ ნაბიჯებზე. საქართველო-თურქეთის მაღალი დონის სტრატეგიული თანამშრომლობის საბჭოს რიგით მე-2 სხდომაზე მხარეებმა განიხილეს ორი ქვეყნის პარტნიორული ურთიერთობების დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები. ყურადღება გაამახვილდა ეკონომიკის, კულტურის, იუსტიციისა და კიბერუსაფრთხოების სფეროებში თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივებზე. საბჭოს წევრების გადაწყვეტილებით, საფუძველი ჩაეყარა ერთობლივ ეკონომიკურ და სავაჭრო კომისიას, რომელიც მომავალი თანამშრომლობის ახალ ჩარჩოებს განსაზღვრავს.

საქართველო-თურქეთის მაღალი დონის სტრატეგიული თანამშრომლობის საბჭოს სხდომის ფარგლებში საქართველოს და თურქეთის პრემიერ-მინისტრებმა ხელი მოაწერეს „თბილისის განცხადებას“, რომლითაც მხარეებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს, თავიანთი პატივისცემა დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების 25 წლისთავისადმი და აღნიშნეს, რომ ორ სახელმწიფოს შორის თანამშრომლობა და მეგობრობა რეგიონული მშვიდობის, სტაბილურობისა და ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფის საფუძველია. ორი ქვეყნის მთავრობებს შორის ხელი მოეწერა მნიშვნელოვანი დოკუმენტები.



## თურქეთი საქართველოს ნოვარ პირველი საგარეო პარტნიორია და ეს მხოლოდ დასაწყისია!

— ამის შესახებ თურქეთის პრემიერ-მინისტრმა ბილალი ილდირიმმა საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი კვიციანს ვილითან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა. „ჩვენ ძალიან დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ გამართულ შეხვედრას. აღნიშნული თანამშრომლობის შედეგები უახლოეს ხანში ნათელი გახდება. საქართველო-თურქეთის მაღალი დონის სტრატეგიული თანამშრომლობის საბჭოს პირველი სხდომა თურქეთში, ქალაქ ანკარაში, გასული წლის ივლისში, შემადრწუნებელი სამხედრო გადატრიალების მცდელობიდან სამი დღის შემდეგ ჩატარდა. აღნიშნული შეხვედრა ძალზე ნაყოფიერი იყო. ჩვენ წარმატებით მოვახდინეთ გადატრიალების მცდელობის ლიკვიდაცია. უმნიშვნელოვანესი იყო ამ მოვლენების შემდეგ საქართველოს პრემიერ-მინისტრის დაუყოვნებლივი ვიზიტი თურქეთში, რომელმაც შეცვალა გეგმები, რათა დაედასტურებინა შემდგომი თანამშრომლობის პერსპექტივები. ჩვენ ამას არ დავივიწყებთ. სტრატეგიული თანამშრომლობის საბჭოს მეორე შეხვედრა, რომელიც საქართველოში გაიმართა, ჩვენი დიპლომატიური ურთიერთობების 25-ე წლისთავს ემთხვევა. 26 მაისი საქართველოს დამოუკიდებლობის დღეა და მინდა, ეს თარიღი წინასწარ მივულოცო ბატონ პრემიერ-მინისტრს“, — განაცხადა ილდირიმმა.

შრომლობის ისეთ დონეს, რომელსაც სხვა ქვეყნები ასობით წლის განმავლობაში ვერ მიაღწევდნენ. „ჩვენ მივადინეთ მეგობრული, ძმურ ურთიერთობას ასეთ მოკლე პერიოდში, სტრატეგიული თანამშრომლობის მიმართულებით. ამჟამად, საქართველოსა და თურქეთს შორის პოლიტიკური პრობლემები არ არსებობს. პირიქით, ჩვენ მრავალი მიმართულებით ყოველსმომცველი თანამშრომლობა გვაქვს. თურქეთი საქართველოს ნომერ პირველი სავაჭრო პარტნიორია უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში და ეს მხოლოდ დასაწყისია. მომავალში სავაჭრო ბრუნვა გაორმაგდება და ჩვენ გვაქვს საშუალება, ამაში წვლილი შევიტანოთ. ჩვენ გვსურს, სავაჭრო ურთიერთობაში უზრუნველყოფილი იყოს ბალანსი და ერთობლივად ვიმუშაოთ ამ საკითხებზე. ორი ქვეყანას შორის ყოველგვარი შეზღუდვა მოხსნილია. იმან, რომ მოგზაურობისთვის უცხოური პასპორტებიც კი არ არის საჭირო, ჩვენი მოქალაქეები გაცილებით უფრო დააახლოვა“, — განაცხადა თურქეთის პრემიერ-მინისტრმა.

როგორც ბილალი ილდირიმმა აღნიშნა, თურქეთს, საქართველოსა და აზერბაიჯანს, ტრანსპორტისა და ენერგეტიკის სფეროში მნიშვნელოვანი შეთანხმებები აკავშირებს. მისივე თქმით, თურქეთი გააგრძელებს საქართველოს მხარდაჭერას სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციას, რომელსაც საქართველო ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებს.

„ჩვენ გვკონდა ძალზე ნაყოფიერი და შედეგზე ორიენტირებული შეხვედრა“, — განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვიციანმა თურქეთის პრემიერ-მინისტრთან და მთავრობის წევრებთან შეხვედრის შემდეგ, ერთობლივ პრესკონფერენციაზე!

როგორც გიორგი კვიციანი აღნიშნა, თანამშრომლობის საკითხთა ფართო სპექტრზე იმსჯელეს. ასევე განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა სავაჭრო-ეკონომიკური და სატრანსპორტო-ენერგეტიკული თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივებზე. „მხარეებს შორის გაიცვალა მოსაზრებები რეგიონსა და გლობალურად მსოფლიოში მიმდინარე მნიშვნელოვან პროცესებთან დაკავშირებით.

კმაყოფილებით აღვნიშნეთ პოლიტიკური ურთიერთობების ინტენსივობა, რაც აისახება მა-

## „ჩვენ გვკონდა ძალზე ნაყოფიერი და შედეგზე ორიენტირებული შეხვედრა“

ღალი დონის ვიზიტების დინამიკაში და იმ შედეგებში, რომელიც კონკრეტულ სფეროებში გაგვიჩინა - ინტეგრაციის მიმართულებით სხვადასხვა სფეროში და თურქეთი კვლავ განაგრძობს საქართველოს ევროპული მისწრაფებების გზაზე ამ უაღრესად მნიშვნელოვანი როლის შესრულებას. თურქეთი, ასევე ჩვენი სამხრეთ პარტნიორია თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებში და ამ მიმართულებითაც მხარეები განაგრძობენ მჭიდრო თანამშრომლობას.

შეხვედრის მსვლელობისას დავსახეთ ორმხრივი ვაჭრობის შემდგომი გააქტიურების პერს-

პექტივები. თურქეთი არის საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი. ამასთანავე, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ გამოუყენებელი პოტენციალის რეალიზაცია უფრო მომგებიანს გახდის ისედაც ინტენსიურ სავაჭრო ურთიერთობებს. დღეს ხელი მოეწერა დეკლარაციას საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის ერთობლივი ეკონომიკური და სავაჭრო კომისიის (JETCO) დაფუძნების შესახებ, რაც ამ მიმართულებით წინგადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯი გახლავთ“, — განაცხადა გიორგი კვიციანმა.

## საქართველოს, თურქეთისა და აზერბაიჯანის სამხრეთი მინისტრიალი

სასტუმრო „რადისონ ბლუ ბათუმი“ სამხრეთი მინისტრიალის მასპინძლობს. საქართველოს, თურქეთისა და აზერბაიჯანის თავდაცვის მინისტრებმა რიგით მესამე შეხვედრა უსაფრთხოების გაგრძელების მიზნით დაიწყეს.

ლევან იზორიამ, ვიქტორ იშკიმა და გენერალ-პოლკოვნიკმა ზაკირ ჰასანოვმა ერთხმად აღნიშნეს, რომ სამხრეთი თანამშრომლობის ფორმატი რეგიონში მშვიდობის, სტაბილურობისა და უსაფრთხოების განმტკიცებისკენ, ასევე სამივე ქვეყნის შეიარაღებული ძალების განვითარებისკენაა მიმართული. მინისტრებმა ერთმანეთის დამოუკიდებლობის, ტერიტორიული მთლიანობის, სუვერენიტეტისა და საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ურღვევობის პრინციპების მხარდაჭერა საზღვრისადაც აღნიშნეს.

შეხვედრა საქართველოს,

თურქეთისა და აზერბაიჯანის თავდაცვის მინისტრების მიერ ერთობლივი განცხადების ხელმოწერით დასრულდა. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სამივე ქვეყანა კვლავ გააგრძელებს რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფაში მონაწილეობას, აღიარებენ ერთმანეთის დამოუკიდებლობას, სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას და რომ სამხრეთი მინისტრიალის ფორმატი რეგიონული თანამშრომლობის წარმატებული მექანიზმია.



# რა საქმეა 94-ე მუხლი?

საპარტამენტო კონსტიტუციის ცვლილებათა პროექტის განხილვის სხვადასხვა ეტაპზე კრიტიკისა და დისკუსიის ერთ-ერთ მთავარ საგანს წარმოადგენდა 94-ე მუხლი. ექსპერტებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ერთი ნაწილი მოითხოვს გაუქმდეს ეს მუხლი, რომელიც მთავრობას მოსახლეობის აზრის გათვალისწინებლად გადასახადების გაზრდის საშუალებას არ აძლევს. რა საჭიროა მსგავსი შეზღუდვა და რას იძლევა ის?

საქართველოს კონსტიტუციის 94-ე მუხლის მიხედვით, „საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადის ახალი სახის შემოღება, გარდა აქციზისა, ან საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადის სახის მიხედვით არსებული განაკვეთის ზედა ზღვრის გაზრდა შესაძლებელია მხოლოდ რეფერენდუმის გზით, გარდა ორგანული კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა“.

ამ ჩანაწერის მონიშნულმდეგენი მას მიიჩნევენ მთავრობის ეკონომიკური თუ საგადასახადო პოლიტიკის განხორციელების ხელშეშლელ ფაქტორად. ისინი ფიქრობენ, რომ ქვეყანაში შექმნილი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ვითარება, დაბალი ხელფასები თუ დასაქმებულთა უფლებების დარღვევა, ძირითადად იმ მიდგომების შედეგია, რომელთაც კონსტიტუციის 94-ე მუხლი განსაზღვრავს. მსგავსი აზრი რადიკალურ „თავისუფლებასთან“ საუბარში გამოთქვა საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების თავმჯდომარე ირაკლი პატრიკაშვილმა:

„პრობლემების სათავე არის ნეოლიბერტარიანულ აზროვნებაში, იმაში, რომ საბაზრო ფუნდამენტალიზმი სუფევს საქართველოში, ასევე ბანკებისა და ბიზნესის დიქტატურაა. კონსტიტუციაში 94-ე მუხლის წმინდათაწმიდად გამოცხადება და ეკონომიკური თავისუფლების აქტის დაკანონება სხვადასხვა, რომ კაციაში ვერ შეეხება მას. აი, ამ ყველაფერშია პრობლემა“.

კიდევ ერთი აზრი გამოითქვა რადიკ

„თავისუფლების“ სადისკუსიო მაგიდასთან არასამთავრობო ორგანიზაცია „საზოგადოების კვლევის ცენტრის“ მკვლევრის **თორნიკე ჩიშვასის** მიერ:

„ჩვენ ვნახეთ, რომ როდესაც სახელმწიფოს დასჭირდა თანხების მოზიდვა მოგების გადასახადის შემცირებისა და გაუქმების შემდეგ, მას ხელ-ფხვი ჰქონდა შეკრული უფრო რაციონალური და სოციალური გზა აერჩია — მაგალითად, მოხდინა ვარიანტი ამა თუ იმ გადასახადის — და გაზარდა აქციზის გადასახადი, რომელიც არის არამირადობრივი გადასახადი და დაანვა დაბალშემოსავლიანი მოსახლეობას. ამიტომ, ერთი მხრივ, ეს არის დემოკრატიული პროცესის დარღვევა და მკვეთრად არაეკონომიკური პრაქტიკა და, მეორე მხრივ, ჩვენ ვხედავთ, რომ ევროპაში მუდმივად ერთ რამეს იმეორებენ ჩვენი ოპონენტები, რომ ევროპა — ეს არის მცირე სახელმწიფო, ევროპა — ეს არის დაბალი გადასახადები. ჩვენ შეგვიძლია შევხედოთ სტატისტიკას და ვნახოთ, რომ თითქმის ყველა ევროპულ ქვეყანაში ჩვენზე უფრო დიდი გადასახადები და სახელმწიფო ხარჯი აქვთ მთლიან შიდა პროდუქტთან შეფარდებით“.

თორნიკე ჩიშვასის განსხვავებით, ევროპული პრაქტიკისა და ევროკავშირის მიდგომების შესახებ სხვაგვარად ფიქრობს **ბიბა ჯანდიერი**, „ახალი ეკონომიკური სკოლა“ საქართველოს“ ვიცე-პრეზიდენტი:

„ევროკავშირმა დიდი სიახლეებით მიიღო ევროპაში ლიბერალიზაციის პოლიტიკის, რომლებიც კონსტიტუციის პოლიტიკის ეწოდნენ და არასოდეს გადავიდნენ ფლანგელო-

ბით ეკონომიკაზე. მათ სისტემაში დანერგული სავალუტო საბჭოს რეჟიმი, რომელიც ნიშნავს ევროსთან მყარად მიბმულ ვალუტას, ეს მოითხოვდა ასეთი ძალიან სერიოზული შეზღუდვების არსებობას ქვეყნის ფინანსურ სისტემაში. მათ, დაახლოებით, ეს 10 წელი ჰქონდათ და ამის მერე ევროკავშირმა დიდი სიახლეებით მიიღო კრიზისის მერე ეს ორი ქვეყანა მათ რიგებში, იმიტომ, რომ მათ ჰქონდათ ყველაზე ფისკალური დისციპლინა მთელს ევროპაში“.

**ბიბა ჯანდიერის** განცხადებით, არც ის არგუმენტი უტყუარი, რომ განვითარებული ქვეყნების კონსტიტუციაში თუ კანონმდებლობაში გადასახადებთან დაკავშირებული შეზღუდვები არ არის. „ახალი ეკონომიკური სკოლა“ საქართველოს“ ვიცე-პრეზიდენტი, მაგალითად, შევიცარის და ახალ ზეღვანას ასახელებს. მისი აზრით, მსგავსი შეზღუდვები, ქვეყანაში ფისკალური წესრიგის დამყარების გარდა, სტაბილურობის დამკვიდრებასაც ხელს უწყობს, რაც ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სანდარია:

„ჩვენ შეიძლება, გაცილებით მეტ შედეგებს მივაღწიოთ იმით, რომ სწორედ ადამიანებს, ინდივიდებს მივცეთ შესაძლებლობა, რომ არა მარტო სხვა მისცენ, არამედ თვითონ იარჩიონ, როგორ ქვეყანაში სურთ ცხოვრება. ამ შემთხვევაში 94-ე მუხლი გადამწყვეტი მნიშვნელობისაა. ამიტომ ამ შეზღუდვებს არა აქვს ის დანიშნულება, რომ მთავრობამ ვერ მიიღოს გადაწყვეტილებები და ვერ გაზარდოს გადასახადები, არამედ ამ შეზღუდვებს მნიშვნელობა აქვს მთლიანად ჩვენს ცხოვრ-



ბაში, როგორ ვიცხოვრებთ და რამდენად ადვილი ცხოვრება გვექნება. მაგალითად, მე ვხედავთ უამრავ უცხოელს და ისინი ამბობენ, რომ იმისთვის, რომ გვექნებოდეს ეკონომიკური თავისუფლება, აუცილებელია სტაბილურობის შეგრძნება არსებობდეს. სწორედ ეს 94-ე მუხლი არის სტაბილურობის, ერთადერთი თუ არა, ერთ-ერთი გარანტი ამ ქვეყანაში, იმიტომ რომ 3 წელიწადში შეიძლება, ახალ მთავრობას სხვა იდეები ჰქონდეს იმაზე, თუ როგორ მოიზოდოს ამომრჩეველი. მაგრამ თუ ასეთი მუხლი იარსებებს, ისინი შეზღუდული იქნებიან ამ დაპირებებში, თუ ეცოდინებთ, რომ ამისთვის დამფინანსებელს ვერ მოიძიებენ“.

გია ჯანდიერი მიიჩნევს, რომ გადასახადების გაზრდა ეკონომიკური თვალსაზრისითაც გაუმართლებელია, რადგან ის ამცირებს ქვეყნის საინვესტიციო მიმოხილვას და აფერხებს ეკონომიკურ ზრდას. **კახა მჭედლიძე**



## დიმიტრი ხუნდაძე: ვინ შეაჩერა ქართული მინაპის გაყიდვა?! — „ქართულმა ოცნებამ“!

**ვაზე რას იტყვი?**  
— თბილისში ჩაშლილი შეხვედრა ჭარბი ემოციების შედეგია. უკმაყოფილებს ამჟღავნებდა ერთი ჯგუფი, რომელიც მმართველ გუნდს აბრალებდა, რომ ჩვენ ქართული მიწების გაყიდვას ვაპირებდით. მინდა, დავსვა კითხვა, ვინ შეაჩერა ქართული მიწების გაყიდვა? შემოდის, შეგახსენოთ, რომ 2013 წელს ქართული მიწების გაყიდვა სწორედ მერვე მონვევის პარლამენტმა, ანუ „ქართული ოცნების“ გუნდმა შეაჩერა. დღეს კი ტალახი ისევ იმ გუნდს ხვდება, რომელმაც ქართული მიწები უცხოელებზე გასხვისების გან დაიცვა.

მე ფიქრობ, რომ კონსტიტუციაში უნდა გაკეთდეს მკვეთრი ჩანაწერი იმასთან დაკავშირებით, რომ უცხოელებზე ქართული მიწების გასხვისება შეიზღუდოს. მინა მარტო ეკონომიკური ეფექტის მომტანი არაა. ესაა სულიერი, კულტურული, რელიგიური, პოლიტიკური, ეკოლოგიური ფენომენი, ამიტომ მისი ცალმხრივი ჭრილობა განხილვა არ არის სწორი. მართალია, უცხოელებს უნდა მივცეთ საშუალება ინვესტიციების შემოტანისა, თუმცა, არა ხელალებით. ეს განწყობა არის გუნდშიც, არაერთი დეპუტატი მხარს უჭერს იმას, რომ კონსტიტუციაში მიწების გასხვისებასთან დაკავშირებით ჩანაწერი გაკეთდეს.

— საკონსტიტუციო ცვლილებების საყოველთაო განხილვის პროცესზე პრეზიდენტის არჩევნის წესთან დაკავშირებითაც იყო განსხვავებული აზრი...

— ჩვენი ოპონენტები პლებისციტის ჩატარებას ითხოვენ სწორედ ამ საკითხზე, თუმცა მიკვირს, რატომ მხოლოდ ამ კუთხით. საერ-

თოდ, თუ საკითხს ისე დავაყენებთ და საზოგადოებამდე ისე მივიტანთ, როგორც საქართველო, პლებისციტის ჩატარება არ იქნება საჭირო. ანუ, შესაძლებელია, საზოგადოების იმ ნაწილმა, რომელიც გათვითცნობიერებული არ არის, თქვას, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში უნდა იღებდეს მონაწილეობა მონაწილეობას, თუმცა, არ უნდა დაგვავინწყდეს, რომ ჩვენი ქვეყანა საპარლამენტო რესპუბლიკაა და პრეზიდენტს უფლებები შეზღუდული აქვს.

— ვენეციის კომისიისგან დაახლოებით რა კუთხით ელოდებით შენიშვნებს?

— ჩვენ, რა თქმა უნდა, ველოდებით ვენეციის კომისიის შენიშვნებს. მინდა გითხრა, რომ საზოგადოებაში არის შეხედულება, თითქოს კონსტიტუცია უკვე მიღებულია, მასში შესწორებები აღარ შევა და ქვეყნის მთავარ დოკუმენტს საბოლოოდ აქვს ბეჭედი დარტყმული, ეს მცდარი შეხედულებაა. საზოგადოების მხრიდან ასეთი ჩართულობა სწორედ იმიტომ არის საჭირო, რომ მათი შენიშვნები გათვალისწინებული იქნას, ისევე როგორც ვენეციის კომისიის, თუმცა, საბოლოოდ გადამწყვეტილებას მიიღებს პარლამენტი.

— როგორ შეაფასებდით პრეზიდენტის ჩართულობას საყოველთაო განხილვის პროცესში? შედარებით გვიან ჩაერთო გიორგი მარგველაშვილი...

— პრეზიდენტი სამუშაო ფორმატში უნდა ჩართულიყო, ეს შეთავაზება მმართველი გუნდისგან მას ჰქონდა. თუმცა მარგველაშვილმა უარი განაცხადა და ჩემთვის გაუგებარი პარალელური პროცესები დაიწყო, რომელიც მი-

სი მხრიდან წინასწარჩვენი მართონის დაწყებას ჰგავდა. მოკლედ, პრეზიდენტი განხილვების პროცესს დაგვიანებით შემოურთდა, თუმცა, არ ემსახურება იმ მიზანს, რომ ქვეყანაში ისეთი კონსტიტუცია მივიღოთ, რომელიც წაადგება საქართველოს და რა რომელიმე პოლიტიკურ პარტიას

— ბატონო დიმიტრი, თვითმმართველობის არჩევნები ახლოვდება...

— პოლიტიკურმა წრეებმა არა მარტო საზოგადოების არჩევნებში ჩართულობაზე უნდა იმუშაონ, არამედ საზოგადოებაში პასუხისმგებლობის ამაღლებაზე, განსაკუთრებით სამუშაო მმართველ გუნდს გვაქვს.

ახლოვდება თვითმმართველობის არჩევნები და, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ხდება ხოლმე, როდ-

საც ფული აჩენს პოლიტიკურ ამბიციებს, მსგავსი არაერთი შემთხვევა ყოფილა. საზოგადოებაში კი ინტერესი იმ კანდიდატის მიმართაა, რომელსაც მაღალი შემოსავალი აქვს. ეს არასწორია და ამ სტანდარტისაგან უნდა გავთავისუფლდეთ.

თუკი არჩევნებში ფინანსებით შეგატლია, დეპუტატის მანდატი მოიპოვო ან გახდეს მერი, გამგებელი, ქვეყანა ასე ქარვასლას დაემსგავსება. თუ ამ ყველაფრის ყიდვა შესაძლებელია, დასლზე ჩვენ ქვეყნის მთავარ ღირებულებებს ვდებთ, რომელსაც ყველაზე ნაკლები ფასი ექნება. თითოეულმა მოქალაქემ უნდა იცოდეს, რომ მისი გადამწყვეტილების უკან დგას ქვეყნის მომავალი.

**სალომე ურთავილი**

**საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა დიმიტრი ხუნდაძემ „რეპორტიორთან“ საუბრისას მიმდინარე თემები განიხილა, განსაკუთრებული აქცენტი კი საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტის განხილვის პროცესზე გააკეთა.**  
**როგორც ხუნდაძე აღნიშნავს, აუცილებელია ხალხის ჩართულობა, რათა ჩამოყალიბდეს კონსტიტუცია, რომელიც მორგებული იქნება ქვეყნისა და არა კონკრეტულად რომელიმე პარტიასა თუ პირს.**

— ბატონო დიმიტრი, საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტის განხილვის პროცესს როგორ შეაფასებთ?

— თქვენ იცით, რომ პირველი ეტაპი დასრულდა, თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ ინტერესი მაღალი იყო, მმართველი გუნდის გადამწყვეტილებით, განხილვების მეორე ეტაპი დაიწყო, რომელიც ახლა მიმდინარეობს. ზოგადად, მმართველი გუნდის სურვილია, საზოგადოების წინაშე ყველა დეტალი იქნას განხილული, ჩვენც უნდა მოვისმინოთ მოსახლეობის შენიშვნები, სწორედ ამიტომ გაგრძელდა განხილვა. ვფიქრობ, მოსახლეობის ამგვარი ჩართულობა სასარგებლო იქნება, რათა მივიღოთ ისეთი კონსტიტუცია, რომელიც გაუძლებს დროს და რომელიც არ იქნება ვინმეზე მორგებული.  
— თბილისში ჩაშლილ განხილ-



# მამა გიორგი სააკლასიო სასამართლოს შექმნას იტხოვს

**დეკანოზი** გიორგი მამალაძის ადვოკატები ბრალდებული სასულიერო პირის საქმის ირგვლივ გაუფრთხილებელ ახალ თემასთან - 50 მილიონ ევროსთან დაკავშირებით პროკურატურას მიმართავენ. განცხადების მთავარი მოტივი პატივისა და ღირსების შელახვაა.

როგორც ადვოკატები ირწმუნებიან, საპატრიარქოს იურისტის ბრალდებები, თითქოს დეკანოზი 50 მილიონი ევროს „გათეთრებას“ გეგმავდა, აბსურდულია.

დაცვის მხარის განმარტებით, სასულიერო პირს აღნიშნული თანხა კონკრეტული პროექტისთვის სჭირდებოდა, რომელიც სკოლის მშენებლობასა და საავადმყოფოს რეაბილიტაციას ითვალისწინებდა. ამასთან, პროექტის შესახებ ინფორმირებული იყვნენ პატრიარქის მდივან-რეფერენტი შორენა თეთრუაშვილი და რამდენიმე სასულიერო პირიც.

„ეს პროექტი კომპიუტერშია, თავად კომპიუტერი კი - პროკუ-

რატურაში. ძალიან მარტივად შეიძლება ამის გადამოწმება. შესაბამისად, აქ არანაირ უკანონო ქმედებაზე არ იყო საუბარი. უფრო მეტიც, ამის თაობაზე თვით შორენა თეთრუაშვილმა და რამდენიმე მეუფემ იცოდა. რაც შეეხება ამ კომპანიას, მას პრაქტიკაში ერთი დღეც არ უმუშავია და ერთი ლარის ბრუნვაც არ ჰქონია. რეალურად, საქმე ისაა, რომ თემის გადაფარვის მიზნით საპატრიარქო პერიოდულად პროკურატურისგან იღებს დავალებებს.“ - განაცხადა ადვოკატმა გიორგი ფანცულაიამ.

დეკანოზის კიდევ ერთი ადვოკატის მია ზოიძის განცხადებით კი, მამა გიორგი აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით საექლესიო სასამართლოს შექმნასა და მის საკითხთან ერთად იმ მღვდელმთავრების საკითხის განხილვას მოითხოვს, რომლებიც, მისი მტკიცებით, ბიზნეს-და სამენარმეო საქმიანობას ეწევიან.

„ხელშეკრულებები ჩვეულებრივი სამართლის პრინციპებით

დანაშაული არაა, თუმცა საპატრიარქოს იურისტი იმაზე აპელირებდა, რომ კანონიკური სამართლით ეს დანაშაულია. ამაზე მამამომ მითხრა: „თუ კანონიკური სამართლით უნდა გადაწყდეს ეს საქმე, მაშინ შეიქმნას საექლესიო სასამართლო და ჩემს საკითხთან ერთად განხილონ იმ მღვდელმთავრების საკითხიც, ვინც ბიზნეს - და სამენარმეო საქმიანობას ეწევა, მე დასამალი არაფერი მაქვს, ამ ყველაფრის შესახებ საქმის კურსში იყვნენ მეუფეებიც, ამას ეკლესიისთვის ვაკეთებდი და არანაირი სამენარმეო საქმიანობის მიზანი არ მქონიაო“, - განაცხადა მია ზოიძემ.

ცნობისთვის: საპატრიარქოს იურისტ ედიშერ ქარჩავას ინფორმაციით, არსებობს დოკუმენტაცია, რომლის თანახმად, დეკანოზი გიორგი მამალაძეს ესპანეთში საკუთარი კომპანია აქვს და მისი საშუალებით 50 მილიონი ევროს ტრანზაქცია უნდა განხორციელებულიყო. მისივე განმარტებით, მღვდლის მიერ სამენარმეო საქმიანობის წარმოება კანონიკური სამართლით დაუშვებელია.

„ეს უკანონო ფული უნდა გათეთრებულიყო, ამისთვის კი ეკლესია უნდა გამოეყენებინა. საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგაც კი იყო გარკვეული ქმედება მიმართული“, - აცხადებდა ედიშერ ქარჩავა.

## „გრუზინგროუპ“ ჩინურ კომპანიასთან 15-წლიანი თანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა

სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი და კახეთის მხარის გუბერნატორი ირაკლი ქადაგიშვილი ალკოპოლური სასამართლოს მწარმოებელ ქარხანა „გრუზინგროუპ“ და ჩინურ კომპანია „Jiangxi Silk Road Investment“-ს (ქ. ნანჩანი, ძიანგსის პროვინცია) შორის 15-წლიანი თანამშრომლობის მემორანდუმის ხელმოწერის საზეიმო ცერემონიას დაესწრნენ.

მემორანდუმი ითვალისწინებს მხარეებს შორის გრძელვადიან თანამშრომლობას ბრენდისა და საბრენდე სპირიტის წარმოების, მინოდებისა და რეალიზაციის მიმართულებებით. მემორანდუმის ფარგლებში დაგეგმილია ერთობლივი კომპანიის დაფუძნება, რომელიც ჩინეთში ქართული ბრენდის პოპულარიზაციას და ადგილობრივ ბაზარზე მიწოდება-რეალიზაციას შეუწყობს ხელს.



„დღევანდელი მემორანდუმი საქართველოსა და ჩინეთს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის გაღრმავების კიდევ ერთი ნათელი მაგალითია და წინაპირობაა იმისა, რომ მოლოდინები, რომელიც ორ ქვეყანას შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების საფუძველზე გაჩნდა, შესრულდება. ეს თანამშრომლობა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საქართველოდან, ღვინის ქვეყნიდან პროდუქციის ექსპორტის ზრდას ჩინეთში, რომელიც აფასებს და პატივს სცემს ჩვენ ისტორიას და ტრადიციებს“, - განაცხადა ლევან დავითაშვილმა.

ალკოპოლური სასამართლოს მწარმოებელი ქარხანა „გრუზინგროუპი“ 1929 წელს დაარსდა. დღეისათვის საწარმო უახლესი აპარატურით და დანადგარებით არის აღჭურვილი.

## ღაზეარტირობა ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით დაისჯება

**წვევამდე**ლის მიერ სამხედრო სამსახურისათვის თავის არიდება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით დაისჯება. „სისხლის სამართლის კოდექსში“ ცვლილებები შედის. ინიციატორის ავტორი პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილია. კანონპროექტს ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტების გაერთიანებულ სტრატეგიულ განხილავს.



პროექტის მიხედვით, ცვლილება შედის კანონის 356-ე მუხლის პირველ ნაწილში, რომლის მიხედვითაც, წევამდელის მიერ სამხედრო სამსახურისათვის თავის არიდება, მათ შორის, ავადმყოფობის სიმულაციით, სხეულის თვითდაზიანებით, ყალბი დოკუმენტის გამოყენებით ან სხვაგვარად მოტყუებით, ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით სამ წლამდე ვადით.

### ვუტინი და მისი „გაწინააღმდეგებელი“


პრაქტიკულად ტრამპმა თავისი პირველი საზღვარგარეთული ტურნე, ბევრისთვის მოულოდნელად, საუდის არაბეთით დაიწყო. სუნიტურ სამეფოში ზესახელმწიფოს ლიდერის ვიზიტი ბრწყინვალე წარმატებით დასრულდა: განსხვავებით „დალაგებულში“, „დინჯი“, „ჭკვიანი“, „დაფიქრებული“, „ფრთხილი“, „პოლიტიკურად კვალიფიციური“ ობამასაგან, „გიჟმა და გადარეულმა“, „არაკომპეტენტურმა“, „უციცმა“ ტრამპმა ისეთი კონტრაქტი გააფორმა საუდებთან, რომელზეც მისი რამდენიმე წინამორბედი ვერც კი იოცნებებდა: 110 მილიარდი დოლარი ამერიკული იარაღის შესყიდვისთვის!

მთლიანობაში, საინვესტიციო პაკეტის ღირებულება 300 მილიარდ დოლარს აღწევს. თანაც, იგულისხმება არა ამერიკული ინვესტიცია საუდის არაბეთში, არამედ პირიქით - ამ ქვეყნის კოლოსალური სავალუტო რეზერვის ხარჯვა ამერიკულ ინდუსტრიაში სხვადასხვა შეკვეთების განსათავსებლად, რაც ნიშნავს ათეულობით ათას სამუშაო ადგილს, მთელი ეკონომიკური დარგების აღორძინებას და კრიზისის საბოლოოდ დაძლევას.

ტრამპმა ამერიკის ეკონომიკისა და ინდუსტრიისთვის მეთი რომ საერთოდ აღარც არაფერი გააკეთოს, 300 მილიარდიანი „ინექცია“ (თანაც ეკონომიკის რეალურ სექტორში და არა ფინანსურ „ბუშტებში“) იმდენად მძლავრი სტიმულია, უკვე მხოლოდ ამ მიღწევით შევა ისტორიაში: ხელშეკრულება, რომელსაც ამერიკის პრეზიდენტმა შაბათს მოაწერა ხელი, 10 წელზეა გათვლილი. ამით, ტრამპმა პირნათლად შეასრულა პირობა, რაც „ინდუსტრიული სარტყელის“ ამომრჩეველებს მისცა: დაუბრუნა სამუშაო ადგილები, რათა მალაქვალიფიციური ამერიკელი მუშები და ინჟინრები არა „მაკდონალდსში“, არამედ პრესტიჟულ, მაღალტექნოლოგიურ ქარხნებში მუშაობდნენ საათში 50 დოლარად.

არა ნაკლებ მნიშვნელოვანია ამ ვიზიტის პოლიტიკური შედეგებიც: საუდის არაბეთი უკვე ღიად დაუპირისპირდა ირანს, რომელიც ამერიკის (და ისრაელის) დაუძინებელი მტერია; მიღწეულია პრინციპული შეთანხმება „არაბული ნატოს“ შექმნის შესახებ. იგულისხმე-

## რატომ ვერ გაიმარჯვებს



ბა, რომ „არაბული ნატო“ დაუპირისპირდება არა მხოლოდ ირანს და მის კლიენტ ბაშარ ალ ასადს სირიაში, არამედ მათ ზურგს უკან მყოფ რუსეთსაც.

თანაც, ტრამპმა ამას მიაღწია ისე, რომ ისრაელიც არ ყოფილა წინააღმდეგი. ერიადიდან ამერიკის პრეზიდენტი იერუსალიმს ეწვია, სადაც ლეგენდარულ სასტუმრო „მეფე დავითის“ სპეციალურ აპარტამენტებში განათავსეს. ეს „ფეშენებელური ბუნკერი“ ორტონიანი საავიაციო ქურვის პირდაპირ დარტყმასაც კი უძლებს.

**როგორ** მიაღწია ამ ყოველივეს ამერიკის სრულიად გამოუცდელმა, პოლიტიკაში „პიონერმა“ ტრამპმა? მხოლოდ და მხოლოდ იმით, რომ წინამორბედისგან განსხვავებით, ყო პოლიტიკური ნება, გამოეყენებინა თავისი დიდი ქვეყ-

ნის ლამის ამოუწურავი სამხედრო, ტექნოლოგიური და ინდუსტრიულ-ფინანსური პოტენციალი!

ტრამპმა, უბრალოდ, გახედა ის, რასაც ობამა ვერ გადაეცა „თანდაყოლილი“ პოლიტიკური სისუსტის გამო. მაგალითად, ამას წინათ, სირიულ-რუსულ სამხედრო აეროდრომზე განხორციელებული დარტყმით აჩვენა არაბულ რეჟიმებს (იმავე ობამასაგან განსხვავებით): არ სჭირდებათ მოსკოვთან ლაქუცი, არ სჭირდებათ ახალი ძლიერი მოკავშირის ძიება, რაკი ამერიკა ისევ ის ამერიკაა, როგორც რონალდ რეიგანის დროს.

შედეგად - ნამდვილი გარღვევა „არაბული ნატოს“ შექმნისა და მთელს რეგიონში ამერიკული გავლენის გაძლიერებით.

და ეს ყოველივე ხდება მაშინ, როდესაც თვით ამერიკაში, მიმდინარეობს პრეზიდენტის კომარული „თროლინგი“. ასეთი რამ ამერიკული მედიასაც კი არ ახსოვს: თვით პრეზიდენტი ნიქსონის იმპიჩმენტის დროს, - 1974 წელს - როცა გაირკვა მისი კავშირი „დემოკრატიული პარტიის“ უკანონო მიყურადებასთან!

დღეს ჩამოყალიბდა „ანტიტრამპული კოალიცია“ დიდი სამეუღლის სახით: NYT, WP და CNN ყოველ ნომერში, ყოველ საინფორმაციო გამოშვებასა თუ თოქ-შოუში ფანატიკურად „აშკვებენ“ საკუთარ პრეზიდენტს, აბრალებენ მას ათას სისულელეს. მათ შორის ლამის რუსეთის აგენტობას, „პუტინის გოშობას“ და ა.შ.

ბუნებრივია, ამ პროცესებს მართავს მოსკოვი, გაქნილი რუსული დიპლომატია და რუსული სპეცსამსახურები. ოღონდ იმიტომ კი არა, თითქოს უმართავი ამერიკული მედია უეცრად რუსეთიდან მართავი გახდა: უბრალოდ, პუტინის რეჟიმი ძალიან ოსტატურად იყენებს თვით ამერიკულ საზოგადოებაში არსებულ წინააღმდეგობებს, დროულად „აგდებს“ ინფორმაციებს მე-

## ● შეცდომა

# კოსოვოს საშიში პრეკედენტი

**მოწოდებული იუგოსლავიის ტერიტორიაზე მიმდინარე კოსოვოს კონფლიქტში ჩარევა და სერბეთის შემადგენლობაში არსებული ამ ავტონომიური მხარის დამოუკიდებლად აღიარება, თანაც გაეროს უშიშროების საბჭოს გვერდის ავლით ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთი ყველაზე დიდი საგარეო-პოლიტიკური შეცდომა იყო — ასე თვლის ამერიკული ჟურნალის The National Interest-ის პოლიტიკური**

**მიმომხილველი ტედ კარპენტერი. მისი აზრით, ვაშინგტონმა „საშიში პრეცედენტი“ შექმნა, რომელმაც მოგვიანებით ბევრად შეუწყო ხელი საქართველოსაგან აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ჩამოშორებას და რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიასაც. საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გათავაზობთ ვრცელი სტატიის მოკლე შინაარსს:**



1990-იან წლების დასასრულს, ამერიკის შეერთებული შტატებმა მცდარი ნაბიჯი გადადგა, როცა ბოსნიის კონფლიქტში ჩაერია, თუმცა ამ გადაწყვეტილებების შემდეგ დიდი დრო არ გასულა და ვაშინგტონმა თავისი შეცდომა კიდევ უფრო გააძლიერა, ამჯერად უკვე კოსოვოს ომში ჩაერია. ამ შემთხვევაში თითქმის ერთდროულად — არც არავისთვის არაფერი უკითხავს, თავისი ევროპელ პარტნიორებისთვისაც კი, ისე მოიროგო „პირველი ვიოლინოს“ როლი სამხედრო ორკესტრში. სერბების 78-დღიანი დაბომბვის შემდეგ ოფიციალური ბელგრადი იძულებული გახდა, კოსოვო ნატოს საოკუპაციო ჯარებისთვის დაეთმო. ამჯერად აშშ-ის მოქმედება „ლევის ფოთლით“ — გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციით იყო შენდებული. რუსეთი, რომელსაც სერბებთან მჭიდრო კავშირები და ბალკანეთის რეგიონში ტრადიციული ინტერესები ჰქონდა, იძულებული იყო, აშშ-ის წინადადებაზე დათანხმებულიყო.

პირებოდა დასავლეთს, რომელიც რუსეთის ისტორიულ-ტრადიციული გავლენის სფეროში შეიჭრა. კოსოვოს კონფლიქტში ჩაერია „საშიში პრეცედენტი“ შექმნა: აშშ, თავდაცვითი ალიანსის — ნატოს წევრი სახელმწიფო, თავს დაესხა იმ ქვეყანას, რომელსაც ნატოს სხვა წევრებზე სამხედრო შეტევა არ განუხორციელებია. თანაც ამერიკამ ფეხებზე დაიკიდა მოსკოვის ინტერესები და სერბეთს, სუვერენულ სახელმწიფოს, მისივე ნაწილი — კოსოვო ჩამოაცილა.

მოგვიანებით სიტუაცია გაართულა აშშ-ისა და მისი მოკავშირეების მიერ 2008 წლის დასაწყისში გადადგმულმა ნაბიჯებმა. კოსოვოს ხელისუფლებამ მოისურვა დამოუკიდებლობის ფორმალური გამოცხადება, თუმცა აშშ-მ არაა დათანხმდა, რომ რუსეთი და, ალბათ, ჩინეთიც წინააღმდეგი იქნებოდა. ამის მიუხედავად, აშშ-მა და ევროკავშირის რიგმა ქვეყნებმა პრეცედენტს მიმართეს დამოუკიდებლობის დეკლარაციის მხარი დაუჭირეს, თანაც გაეროს უშიშროების საბჭოს გვერდის ავლით. ეს იყო ძალიან სადავო ნაბიჯი, თანაც იმდენად აშკარა, რომ ზოგიერთმა ევროპულმა ქვეყანამ კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარება არ მოინდო. როგორც ჩანს, მათ, რომლებიც აშშ-ის პოლიტიკურ ხაზს არ დაეთანხმნენ (ანუ „უკლონისტობა“ გამოამყვანეს), გაითვალისწინეს, რომ ამგვარ გადაწყვეტილებას შორის მიმავალი ნეგატიური შედეგები ექნებოდა. მაგალითად, ესპანე-

თის მიშობდა, რომ კოსოვოს სუვერენიტეტის აღიარება გააძლიერებდა სეპარატისტულ განწყობას ბალკნეთსა და კატალონიაში (და, პრინციპში, არც შემცდარა — კატალონიაში ასე მოხდა). რუსეთის ხელისუფლება კატეგორიული წინააღმდეგი იყო კოსოვოს დამოუკიდებლად აღიარებისა და დასავლეთს აფრთხილებდა, ამგვარი გაეროსაგან არასანქცირებული ნაბიჯი საშიში მადესტაბილიზებელ პრეცედენტს ქმნისო. ვაშინგტონმა ხელი აიქნია მოსკოვის ჩივილზე და აცხადებდა, კოსოვო სხვებისაგან განსხვავებულ „უნიკალურ შემთხვევას“ წარმოადგენსო. თეთრი სახლის პოზიციის ალთაიკურობა და ცრუ თავდაჯერებულობა სრულიად ნათელი იყო, მაგრამ ვაშინგტონი მაინც „თავისას აწვებოდა“. თუმცა დასავლეთის ქვეყნები მალე დარწმუნდნენ იმაში, რომ მათი განცხადებები „კოსოვოს შემთხვევის უნიკალურობის“ თაობაზე, სულაც არ არის უნიკალური: რუსეთმაც თითქმის იგივე მოიმოქმედა რამდენიმე თვის შემდეგ სამხრეთ ოსეთის მიმართ. რა თქმა უნდა, ვაშინგტონმა და მისმა მოკავშირეებმა საქართველოსთან ომში ბრალი რუსეთს დასდეს და მოსკოვი დაადანაშაულეს — მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის მიერ ჩატარებულმა გამოკვლევამ პასუხისმგებლობა მეტწილად თბილისს დააკისრა.

ჟურნალიტი არ დაინტერესებულა იმით, თუ რას ფიქრობს აშშ-ის პრეზიდენტი კოსოვოში ნატოს მოქმედებაზე. არადა, შეუიარაღებელი თვალთვალ კი ჩანს, რომ კოსოვოში ნატოს ინტერვენცია ალიანსის მიერ დაშვებული უფრო დიდი საგარეო-პოლიტიკური შეცდომა იყო, ვიდრე ბოსნიის ამბებში ჩაერია. აშშ-მა თავისი ნაბიჯით მნიშვნელოვნად გააძლიერა ძალზე საეჭვო რეპუტაციის მქონე სამხედრო-პოლიტიკური მოძრაობა „კოსოვოს გათავისუფლების არმია“, რომელსაც ბევრჯერ აქვს დარღვეული ადამიანის უფლებები. კოსოვოში ჩაერია ნატომ თანდათან დაიწყო ტრანსფორმაცია თავდაცვითი ალიანსიდან ისეთი ორგანიზაციისაკენ, რომელიც აგრესიულად ახორციელებს სახელმწიფოწარმოქმნელ ჯვაროსნულ ლაშქრობებს. (სერბეთისაგან) კოსოვოს ძალით ჩამოცილებამ ერთდროულად გააღივალა თვითონ მათი გათავისუფლებაზე და მიუხედავად იმისა, რომ ისევე იტყვითლია, რომელიც აგრესიულად ახორციელებს სახელმწიფოწარმოქმნელ ჯვაროსნულ ლაშქრობებს. (სერბეთისაგან) კოსოვოს ძალით ჩამოცილებამ ერთდროულად გააღივალა თვითონ მათი გათავისუფლებაზე და მიუხედავად იმისა, რომ ისევე იტყვითლია, რომელიც აგრესიულად ახორციელებს სახელმწიფოწარმოქმნელ ჯვაროსნულ ლაშქრობებს. (სერბეთისაგან) კოსოვოს ძალით ჩამოცილებამ ერთდროულად გააღივალა თვითონ მათი გათავისუფლებაზე და მიუხედავად იმისა, რომ ისევე იტყვითლია, რომელიც აგრესიულად ახორციელებს სახელმწიფოწარმოქმნელ ჯვაროსნულ ლაშქრობებს.

კოსოვოს კონფლიქტის დროს დაშვებული შეცდომა ვაშინგტონს კვლავ წინ დაუხვდა 2014 წელს, როცა კრემლმა ყირიმში თავისი სამხედრო ყოფნა გააძლიერა და ამით ხელი შეუწყო რეფერენდუმის ჩატარებას უკრაინისაგან გამოყოფის მიზნით. მოსკოვის ეს ნაბიჯი ვაშინგტონმა „რუსული ანექსიის“ ერთგვარ პრელუდიად მიიჩნია და ამჯერად უფრო მეტი ალფოთება გამოხატა, ვიდრე 2008 წლის აგვისტოში, რუსეთის საქართველოში შეჭრის დროს.

პრესკონფერენციაზე ბარაკ ობამა მრისხანედ აცხადებდა, რომ „რუსეთის ზარბაზნების მეშვეობით ევროპის საზღვრების შეცვლის ნება არ უნდა ჰქონდესო“, თუმცა იქ მყოფი არც ერთი

# ისტორიულად პუტინის რუსეთი

დიაში საკუთარი გავლენის აგენტების მეშვეობით, იყენებს წინააღმდეგობრივ ინტერესებს ისტებლიშმენტში, მათ შორის „სასარგებლო იდიოტებს“ (ეს ფენომენი დასავლეთში უკვდავი აღმოჩნდა ლენინის ეპოქიდან დაწყებული) და ყველანაირად ცდილობს, დაასუსტოს ტრამპი, დაასუსტოს თვით ამერიკული სახელმწიფო და ამით დაასუსტოს „ამერიკული იდეა“, როგორც ასეთი — ანუ ამერიკის მიმზიდველობა, პატივისცემა, მისდამი მილიარდობით ადამიანის რწმენა.

მაშასადამე, პუტინის რუსეთი მხოლოდ დესტრუქციას, ესე იგი მავნებლობას ახერხებს. კარგად, ნიჭიერად, წარმატებით ახერხებს, მაგრამ მავნებლობა მავნებლობაა და მეტი არაფერი.

მიუხედავად ამისა, პუტინის რეჟიმი, ტაქტიკური წარმატებების და თუნდაც გამარჯვებების მიუხედავად, საბოლოოდ მაინც რუსული დამარცხებისა და კრახისთვისაა განწირული, რადგან ამ რეჟიმის არსი და ის, თუ როგორ (რისკენ) „მომართა“ იგი ვლადიმერ პუტინმა, საკაცობრივი განვითარების ისტორიულ პარადიგმას ეწინააღმდეგება.

ჯერჯერობით, ერთადერთი, რასაც ეს რეჟიმი ახერხებს (კი ბატონო, კარგად ახერხებს ყველაფერს და ყოველთვის ამერიკიდან-საქართველომდე), დესტრუქციაა! გამოსდის, გასდის, აკეთებს, წარმატებებსაც აღწევს. მაგრამ ისტორია გვახსენებს, რომ ფენომენი, რომელიც მხოლოდ დესტრუქციასა და გათვლილ და რაიმე „პოზიტიური პროექტის“ გამოქმენის უნარი არ გააჩნია, საბოლოოდ აუცილებლად დამარცხდება: რომც მოახერხონ ამერიკელმა ლიბერალებმა ტრამპის დამხობა, ამერიკა ამ კრიზისს აუცილებლად დაძლევა და შესაძლოა, კიდევ უფრო გააძლიერებული გამოვიდეს შავი პერიოდიდან, რაკი ამერიკას და ევროპას ნამდვილად აქვთ ის მთავარი ლირსება, რაც პუტინის რუსეთს არ გააჩნია: უნარი, შეიმუშავონ და მსოფლიოს შესთავაზონ პოზიტიური „პროექტი“, კონსტრუქციული „დღის წესრიგი“ ყველა მიმართულებით. დაწყებული ტექნოლოგიური ინოვაციებით, სოციალური აბგრიდით, ინდუსტრიული მოდერნიზაციით, დასრულე-

ბული პოლიტიკური ალიანსებით, რომლებიც არა მხოლოდ ამერიკისა და დასავლეთისთვისაა მისაღები ან ხელსაყრელი, არამედ სხვებისთვისაც.

## \*\*\*

### ამ მიზნით რას აღარ წაბნის პუტინი: დაწყებული იმავ „საინფორმაციო დივერსიებით“, დამთავრებული ჰაკერ-შეტევებით, საარჩევნო პროცესებში ჩარევით, წინააღმდეგობათა გაღვივებით, მეზობელ სახელმწიფოთა დესტაბილიზაციით და ა.შ .

გერჯერობით, ერთადერთი, რასაც ეს რეჟიმი ახერხებს (კი ბატონო, კარგად ახერხებს ყველაფერს და ყოველთვის ამერიკიდან-საქართველომდე), დესტრუქციაა!

ამის უპირველესი და უცდომელი ნიშანი ისაა, რომ თანამედროვე რუსეთს ცივილიზებული მოკავშირე საერთოდ არა ჰყავს გარდა სრული მარგინალებისა, როგორცაა იგივე ზამარ ალ ასადი, აიათოლების რეჟიმი ირანში და „ბატკა ლუკაშენკო“. თუმცა, ეს უკანასკნელიც კი ჭირვეულობს ხშირად და ყოველთვის არ „უწვრივს“.

პუტინის რუსეთის სისტემური სისუსტე, როგორც ჩანს, იმდენად მყარი მოცემულობაა, დღეს ქართული პოლიტიკის მხრიდან ნამდვილი სიგიჟე იქნებოდა ის-ტორიული განვითარების პარადიგმის შეცვლა და ისევე რუსულ ორბიტაზე დაბრუნება.

პუტინის რუსეთის სისტემური სისუსტე, როგორც ჩანს, იმდენად მყარი მოცემულობაა, დღეს ქართული პოლიტიკის მხრიდან ნამდვილი სიგიჟე იქნებოდა ის-ტორიული განვითარების პარადიგმის შეცვლა და ისევე რუსულ ორბიტაზე დაბრუნება.

# სახელმწიფო გაპოლიტიკალი გზა



„განათლებული, პატიოსანი და საზოგადო საქმეებისათვის თავდადებული ადამიანი“, — ასე შეიძლება რამდენიმე სიტყვით დაახასიათო ცნობილი საზოგადოებრივი და სამეურნეო ხელმძღვანელი **მალაქია შანტაძე**, რომელსაც დაბადებიდან 75 წელი შეუსრულდა.

დაიბადა 1942 წლის 24 მაისს, წალენჯიხის რაიონის სოფელ ჯვარში, იზრდებოდა სანაქებო ოჯახში. მამა — ანდროსი შანტაძე, იყო რესპუბლიკის დამსახურებული ზოოტექნიკოსი, სოციალისტური შრომის გმირი, ცნობილი პარტიული, სახელმწიფო და სამეურნეო ხელმძღვანელი მუშაკი, დედა მასწავლებლობდა.

1959 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა წალენჯიხის საშუალო სკოლა, 1966 წელს — მოსკოვის საავტომობილო საგზაო ინსტიტუტის ავტოსატრანსპორტო ფაკულტეტი, შემდეგ — თსუ-ს სახალხო მეურნეობის დაგეგმვის ფაკულტეტი (წარმოებისაგან მოუწვევტილი).

სხვადასხვა დროს მუშაობდა სპეციალობის მიხედვით — იყო ავტოსატრანსპორტო საწარმოს ექსპლუატაციის სამსახურის ხელმძღვანელი, რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს მთავარი ინჟინერი, ატკ-ის დირექტორი, წალენჯიხის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, რაიონის ადგილობრივი მთავრობის მოადგილე. 1973-1978 წლებში მუშაობდა წალენჯიხის რაიონის ადგილობრივი მთავრობის თავმჯდომარედ. 1978-1988 წლებში იყო ჯერ წალენჯიხის ჩაის საბჭოთა მეურნეობის, ხოლო შემდეგ მეურნეობისა და ჩაის ფაბრიკის ბაზაზე შექმნილი ჩაის აგროსამრეწველო კომბინატის დირექტორი. 1988-1991 წლებში კომპარტიის რაიკომის პირველი მდივანი იყო.

რა თანამდებობაზეც უნდა ყოფილიყო, მისი უპირველესი საზრუნავი იყო ეკონომიკის აღმავლობა, რომელსაც, როგორც წესი, შედეგად უნდა მოჰყოლოდა ადამიანების კეთილდღეობის ამაღლება, საქმისადმი ამგვარი მიდგომის შედეგად რაიონმა დიდი ნახტომი გააკეთა სოციალური და ეკონომიკური განვითარების ყველა მიმართულებით.

მისი ინიციატივით აშენდა რაიონის ცენტრში სპორტდარბაზი და ხიდი მდინარე ენგურზე სოფელ ლიასა და ფახულანს შორის. ეს იყო აქაური ადამიანის მითითებით აშენდა. აქ არის ერთი მომენტი, რომელსაც ხაზი უნდა გაესვას: ცნობილი მოვლენების გამო გარკვეული პერიოდი სანახევროდ აშენებული ობიექტების მშენებლობა შეწყდა, მაგრამ პოლიტიკური სიტუაციის დალაგების შემდეგ მისივე დიდი ძალისხმევით და ადგილობრივი ორგანოების მხარდაჭერით ორივე ობიექტის მშენებლობა განახლდა და დასრულდა კიდევ.

ნებისმიერ ქალაქს დაამშვენებდა მისი უშუალო ხელმძღვანელობით რაიონის ცენტრში გაშენებული კულტურისა და დასვენების პარკი, რომელიც დღეს ტერენტი გრანელის სახელს ატარებს.

სამი ცაცხვის მიდამოების კეთილმოწყობა, მაცხოვრის ფერისცვალების ტაძრისაკენ მიმავალი გზა, ობუჯში შინამოსხველთა მემორიალი, იმავე სოფელში მდინარე სქურდილას ნაპირზე და სასონგულიოს უბანში კავკასიური ნაძვის გაშენება, ორი კინოსაჩვენებელი დარბაზი სოფელ საჩინოში, მდინარე მოროყაზე და ინწრაზე ხიდები, რაიონის ყველაზე უფრო შორეულ სოფელ ქალაქში სოციალური და კულტურული დანიშნულების ობიექტები და ვინ იცის, კიდევ რამდენი დიდი და პატარა მასშტაბის ობიექტი ჩადგა იმ წლებში ხალხის სამსახურში.

საკმარისია ითქვას, რომ 1977 წელს რაიონის ადგილობრივი საზოგადოებრივი მეურნეობათა სახსრებით აშენდა 6 დაწყებითი სკოლის და 4 საბავშვო ბაღის შენობა. მეურნეობის დირექტორად მუშაობის პერიოდში, ვალერი შანტაძე როგორც შეფი ორგანიზაციის ხელმძღვანელი, დაჯილდოვდა „სახალხო განათლების წარჩინებული“ სამკვერდე ნიშნით და არჩეულ იქნა მასწავლებელთა ყრილობის დელეგატად.

თითქმის სამი ათეული წლის შემდეგ წალენჯიხაში აღდგა ცხენოსნობა და საცხენოსნო სპორტი, რამაც ზღვა სიხარული მოუტანა ხალხს. ჩაის საბჭოთა მეურნეობაში შექმნილი საცხენოსნო-სპორტული კლუბი ფორმით და შინაარსით რესპუბლიკაში საჩვენებელი ობიექტი იყო.

ახალგაზრდა რაიონის ადგილობრივი მთავრობის თავმჯდომარე დიდ ყურადღებას უთმობდა ფიზიკურულ-სპორტულ მუშაობას. ის იყო და დღემდე რჩება ფეხბურთის დიდ გულშემატკივრად. 1975 წელს მისი უშუალო ხელმძღვანელობით ადგილობრივი გუნდი „სქური“ (მაშინდელი „კოლმეურნე“) საქართველოს ჩემპიონატის პირველ ჯგუფში გადავიდა.

ცენტრალურ სტადიონს უაღრესად შემეჭიდროვებულ ვადებში ჩაუტარდა

კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა აღინდელისაგან განსხვავებით, როცა თვითმოქმედი კოლექტივები, როგორც წესი, მხოლოდ სოფლის კულტურის სახლებთან არსებობდნენ, ბოლო პერიოდში ისინი მასობრივად იქმნებოდა წარმოება-დაწესებულებებში — სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო ორგანიზაციებში, მომსახურების სფეროში და სხვაგან.

10 წელი იმუშავა წალენჯიხის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორად, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ გასული საუკუნის 80-იან წლებში ეს მეურნეობა საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსში ეკონომიკური განვითარებისა და სოციალური ინფრასტრუქტურის მხრივ ერთ-ერთი გამორჩეული მეურნეობა იყო. მეჩაიეობის პარალელურად განსაკუთრებული აღმავლობით ვითარდებოდა მეურნეობისათვის არატრადიციული დარგები — მეცხოველეობა და საკვებწარმოება. აქ დაგროვილი გამოცდილება ქვეყნის მასშტაბით განზოგადების საგანი გახდა. ამის შემდეგ იყო ის, რომ 1988 წელს მეურნეობას საყრდენ-საჩვენებელი მეურნეობის სტატუსი მიენიჭა და ადგილობრივი გამოცდილების გაზიარების მიზნით ჩატარდა რესპუბლიკური გამსვლელი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია.

ყველაგან, სადაც კი იმუშავა, საქმეში სულსა და გულს დებდა. მას არასოდეს ტოვებდა ახლის გრძობა და ნოვატორული ჟინი. იყო უაღრესად კომუნიკაბელური, ხუთი წლის მანძილზე გუბერნატორის მოადგილედ მუშაობის პერიოდში დამსახურებული ავტორიტეტი სარგებლობდა არა მარტო ზუგდიდის, არამედ მთლიანად რეგიონის აქტივში და მთელს საზოგადოებრიობაში. ბატონი ვალერი ავტორიტეტი ეფუძნებოდა მის მრავალმხრივ ცოდნას, კომპეტენტურობას, პატიოსნებასა და პრინციპულობას.

ორჯერ იყო არჩეული საქართველოს პარლამენტის წევრად, მიღებული აქვს მთავრობის უმაღლესი ჯილდოები. საინჟინრო და ეკონომიკური განათლების მქონე კაცი პოეზიის დიდი მოყვარულია. მან ზეპირად იცის არა მარტო ქართული კლასიკური, არამედ ხალხური პოეზია. მეტიც, საათობით შეუძლია ზეპირად წაიკითხო ესენის, ბლოკის, ახმატოვის, ცვეტაევის, სიმონოვის და სხვათა შედევრები.

დაბოლოს, ერთი საინტერესო ინფორმაცია: კომუნისტური წყობის დროინდელი ხელმძღვანელებისადმი დღევანდელი ქართველი საზოგადოებრიობის აშკარა ნეგატიური დამოკიდებულება კომენტარს არ საჭიროებს. ასეთ ვითარებაში მართლაც რომ განსჯისათვის საზრდოს იძლევა ის ფაქტი, რომ შარშან ადგილობრივი ტელევიზიის მიერ წალენჯიხის რაიონში წლის ადამიანის გამოსავლენად ჩატარებული გამოკითხვა ვალერი შანტაძე რამდენიმე თანაც უპრობლემოდ და აშკარა უპირატესობით.

პენსიაზე გასვლის შემდეგ აქტიუ-

რად თანამშრომლობდა ჟურნალ-გაზეთებში, შექმნა მრავალი კინოსიუჟეტი და ვიდეომასალა, რომელიც ეძღვნება ქართული კულტურის მოღვაწეებს, გამოჩენილ სპორტსმენებს, მეცნიერებს, ომისა და შრომის ვეტერანებს.

ბატონი ვალერი მეგობრული და საქმიანი ურთიერთობებით იყო დაკავშირებული თანამედროვე საქართველოს ლიტერატურის, ხელოვნების და კულტურის მოღვაწეებთან. ტრადიციულად თბილი დამოკიდებულება აკავშირებდა გამოჩენილ მეცნიერ-მედიკოსებთან.

ვალერი შანტაძის ცხოვრებას და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საქმიანობას წითელ ზოლად გასდევდა თავმდაბლობა და მოკრძალება. თვალისჩინი უფროსი დედა და საკუთარ ღირსებას, მისთვის პრინციპულად მიუღებელი იყო იმხანად დაკანონებული ბევრი უკანონო ბა, მინერები, მეშანობა, თვალისახვევა, ფორმალიზმი, პოლიტიკური კვლევება და ა.შ. არცთუ ისე იშვიათად უნებდა დიუნების წინააღმდეგ სვლა და მაშინდელი თამაშის წესების უგულვებლყოფა, რაც უმრავლესად მოშურნეთ და მის მიმართ მტრულად განწყობილთ.

ავკარგავანი, ღვთისმოსავი ადამიანი, სამშობლოს ღირსეული შვილი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მისი უწმინდესობის ილია II-ის მიერ 1989 წელს ნაჩუქარ ოქროს ჯვარს მიიჩნევს არა პირად საკუთრებად, არამედ წალენჯიხის რაიონის ეკუთვნილებად და ანდერძის მიხედვით მის შემდეგ ძვირფასი რელიკვია რაიონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს გადაეცემა.

ბატონ ვალერიის ზურგს უმაგრებს და ამშვენებს ლამაზი ოჯახი, ორი საამაყო ქალიშვილის აღმზრდელი მამა, ორთავემ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ლიტერატურისა და ენების ფაკულტეტი დაამთავრა და თბილისში მუშაობენ, ახარებს და სიცოცხლეს უხანგრძლივებს ორი შვილიშვილი — ანასტასია და ანდრია ჩხარტიშვილები.

ბატონ ვალერიის კულოცავთ სახელოვან იუბილეს, ჯანის სიმრთელეს ვუსურვებთ, მისი ნიჭი და შემართება კვლავაც დიდხანს წაადგეს ჩვენს სამშობლოს!

პატივისცემით  
**ბონდო ჯიქია, გივი ლომინაძე, ბაკურ გულუა, თინათინ კალანდია, ზვიად თოფჩია, ნუგზარ ნადარეანი, გურამ გუნაშვილი, ოთარ შიტიანაძე, ვაჟა ფიფია, ლარი ალიშვილი, დავით დათოშვილი, თამაზ კუნჭულია, შოთა კიკალიაშვილი, ლარი შიტიანაძე, გიგლა ანასაძე, თინათინ ჩაჩიანი, იური გუგუნიანი, მურთაზ ზოკუნიანი, მხედარ ჩაჩაძე, გვანდია მანია, თამაზ ფიფია, ოლეგ სალია, სპარტაკ ქოზულიანი, ალექს ანდანიშვილი.**



ნოდარ ახალკაცთან ერთად

რეკონსტრუქცია. ვალერი შანტაძის ოჯახური სიახლოვე ჰქონდა ფეხბურთის დიდ მაცხროსთან ნოდარ ახალკაცთან, მეგობრობდა ავთანდილ ჭყუასელთან და ანდრო ზაზროვეთან. მისი მოწვევით წალენჯიხის სხვადასხვა დროს სტუმრობდა თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდი თავად ბატონი ნოდარის მეთაურობით, თბილისის „დინამოს“ ვეტერანთა გუნდი — გიორგი ანთაძისა და გრიგოლ გაგუას მესვეურებით.


ხანგრძლივი პაუზის შემდეგ რაიონში მუშაობა განაახლა ხალხური შემოქმედების რაიონულმა ანსამბლმა „ბედინერამ“. 1975 წელს ანსამბლი, რომელშიც გაერთიანებული იყო 70 კაცი, ბატონი ვალერიის ხელმძღვანელობით მოსკოვში ჩავიდა და იქ წარმატებით გამოვიდა საკავშირო ტელევიზიით.

რაიონში ფართოდ იყო გაშლილი










ჯუშუბარ  
სარდლიშვილი

# თანამედროვე „სიბრძნე სიკრყისა“




ღამე სხვის ღრენა-კმენაში რომ ხარ, ღვთის სასჯელი ეგ არის, თორემ მე, აგერ, მდინარეში გავივლ-გამოვივლი და გავსუფთავდებო.

## ე ღაბრთთან სიხლოვე

ერთ კაცს ღმერთთან სიხლოვე მოუნდა და მწვერვალზე ავიდა. მაშველებმა გაყინული ჩამოიყვანეს. სიბოზზე გონზე მოეგო და იკითხა, ღმერთთან ვარო.  
- არა, ჩვენთან ხარ, ჩვენთან, - მიუგეს მაშველებმა.  
- თქვენთან ყოფნა ისეთი სასიამოვნოა, შეუძლებელია ღმერთი აქ არ იყოსო, - ჩაილაპარაკა გაყინულმა.

## ქება-ქებაში

ქება-ქებაში ვინს იმხელა ტვირთი აპვიდეს, ათი ვინი ძვრას ვერ უზამდა. თვალემს არ უკერვებდნენ, ყველა გაოცებული შეჰყურებდა. ერთმა ვინმა მეორეს გადაულაპარაკა, ნამდვილად ღვთის ხელი ურევი, თორემ ამ წონის ტვირთს ვერ წაიღებდაო.  
ღმერთი რა შუაშია, როცა ვინს ქება სიამოვნებს, ტვირთი წონაში იკლებს. - უთხრა მეორე ვინმა.



## შოვნა და ხარჯვა

მზად დარჩენილმა ძმებმა შობლებს დანატოვარი ქონება გაიყვეს და ცხოვრება განაგრძეს. გავას ქონების დაგროვების მართი ალმოაჩნდა; მალე ისე გამდიდრდა, მის ცხვარ-ძროხას სოფლის საძოვარი ვეღარ იტევდა. დათამ ცხოვრების გემო იცოდა; ჩაცმა-დახურვაში, დროსტარებასა და მოგზაურობაში ხარჯავდა ფულს. ძმებს ერთმანეთისა კეთილი შური შურდათ; ერთი მეორის ქონებას შესტროვდა და მეორე პირველის ცხოვრების მართივით.  
ერთ დღეს გავა დათასთან მივიდა და უთხრა: ძმაო, დიდი ქონების პატრონი ვარ და ცხოვრების სიამებლობა არ მივრძენია, ჩემი ქონება შედნიერებას ვერ მანიჭებს, იქნებ მისმა დახარჯვამ გამაბედნიეროსო და ფულის დახარჯვაში დახმარება სთხოვა. ძმა მას უარს როგორ ეტყოდა... მით უმეტეს, კარგი ცხოვრება, უფულობის გამო, მასაც მონატრებული ჰქონდა. ძმა სამოგზაუროდ წაიყვანა, კარგად ჩაცმულ-დახურულს ულაამზესი ქალები დაახვია, კარგი ასვა, აჭამა, აქიფა, კარგი მანქანა აყიდინა, კარგი სახლი ააშენებინა და მოსამსახურეებიც დაუყენა.  
ერთ დღეს გავამ ძმას გამოუცხადა: მორჩა, საკმარისია, მე ვშრომობ, ქონებას ვაგროვებ, შენ კი ხარჯავ... ჩემი ძმა ხარ, მთელ ჩემს ქონებას შუაზე გიყოფ, შენც იშრომე, ქონებას ქონება მიუმატე, დახარჯვითაც როგორც ნაშრომი დაეხარჯოთო. რა ექნა დათას? ქონების გაყოფისათვის ძმას მადლობა გადაუხადა და ქონების გაზრდაზე ზრუნვა დაიწყო, მაგრამ არაფერი გამოუვიდა; ერთხელ იზარალა, მეორედ, მესამედ და ბოლოს თავი მიანება. ამასობაში გავამ ქონებას ქონება შემატა, ერთი ასად გაზარდა და დალოლილს ცხოვრებით ტკობა მოუნდა, მაგრამ თავი ვერაფერს მოაბა. ძმის ამბავი იცოდა, მაგრამ არ უზრახვებოდა, ხარჯვის შნო და მართივითი მეც ხომ არა მაქვსო. ისევ თვითონ მივიდა ძმასთან და შესთავაზა, ცხოვრებით ერთად დავტკებო. გავა ფულს შოულობდა და დათა ხარჯავდა, ერთიც კმაყოფილი იყო და მეორეც, მაგრამ... გავას მალე უკმაყოფილება დაეცყო, ვერ ეგუებოდა, რომ თავად ფულს შოულობდა და დათა ხარჯავდა. ითმინა, ითმინა და ერთ დღესაც უთხრა: გეყო! გეყო! მე ფულს ვშოულობ, შენ ხარჯავ. შენ მხოლოდ ერთობი, მე კი ვშრომობ კიდევო.  
- თუ ფულის ხარჯვა შრომა არ არის, თავად რატომ არ ხარჯავ?... - გაუწყნარა დათა.  
ძმების ხმამაღალი საუბარი მეგობრულმა გაიგო, ერთმანეთს ცუდი არაფერი აკადრონო, გაიფიქრა და სახლში მობოდიშებით შევიდა.  
- მეგობრო, - მიმართა გავამ, - მე ფულს ვშოულობ, ვშრომობ, ვწვალვობ, დათა კი ჩემს ნაშრომს მხოლოდ ხარჯავს.


## ქალაქის მერი

ქალაქის მერს ქალაქელები ემდუროდნენ, არაფერს აკეთებდნენ.  
ერთმა კაცმა ფეცილით სავსე გახეული ტომარა ზურგზე მოიგდო, ქუჩაში გაიქცა და ფეცილი ააკროიანტელა. ამ ამბავმა ქალაქის მერის ყურამდე მიაღწია, კაცთან მივიდა და ჰკითხა, მეტი საქმე არა გაქვს, ქუჩაში დარბიხარ და ქალაქს ანაგვიანებო.  
- კვალს ვტოვებ. - მიუგო კაცი.  
მერს გაუკვირდა, წვიმა მოვა და მაგ კვალს გადარეცხავსო, - უთხრა.  
- მე უზრალო კაცი ვარ, ჩემს კვალს წვიმაც გადარეცხავს, მენ თუ მოინდომებ, ამ ქალაქში ისეთ კვალს დატოვებ, წარღვანაც ვერაფერს დააკლებსო, - უთხრა და წავიდა.

## საიდან დაიწყო

ქვეყანაში სიმშვიდე, შრომა და სიუხვე იყო. ადამიანებს ერთმანეთის დანახვა უხაროდათ; სტუმარს გულითადად მასპინძლობდნენ, წაქცეულს ხელს უწვდოდნენ, ავადმყოფს წამალს აძლევდნენ, მშვიდს ლუკმას სთავაზობდნენ, წარუმატებელს ამხნევენდნენ, წარმატებულს ტაშს უკრავდნენ და უხაროდათ სიცოცხლე.  
აირობა ქვეყანა. ხალხი აღელდა, აფორიაქდა, ატყდა ხოცვა-ჟლეტა, გაჩნდა უმუშევრობა და სიღატაკე მოიცვა ქვეყანა. ადამიანებს ერთმანეთი შესძულდათ, სტუმრის დანახვა აღარ უნდოდათ, წაქცეულს წიხლს აჭედდნენ, ავადმყოფს ზედ არ უყურებდნენ, მშვიდს ლუკმას ართმევდნენ, წარუმატებელს გზას უხსნიდნენ და წარმატებულს გზას არ აძლევდნენ. სიკვდილი სანატრელი გახდა.  
დადიოდა ვიღაც და გაიძახოდა: - ვიდრე სიმშვიდე, შრომა და სიუხვე არ დაისადგურებს, ადამიანებს ერთმანეთის დანახვა არ გაუხარდებათ, სტუმარს არ უმასპინძლებენ, წაქცეულს არ წამოაყენებენ, ავადმყოფს არ უმკურნალებენ, მშვიდს არ დააპურებენ, წარუმატებელს არ გამხნევენ და წარმატებულს არ დააფასებენო.  
მისდევდა ვიღაც და ისიც გაიძახოდა, სანამ ერთმანეთის დანახვა არ გავგვიხარდება, სანამ სტუმარს გულითადად არ ვუმასპინძლებთ, წაქცეულს ხელს არ გავუწვდით, ავადმყოფს არ ვუმკურნალებთ, მშვიდს ლუკმას არ გავუყოფთ, წარუმატებელს არ გავამხნევეთ და წარმატებულს არ დავაფასებთ, სიმშვიდე შრომა და სიუხვე არ გვედრისებაო.  
იღვა კაცი და არ იცოდა, საიდან დაეწყო.

## სხვისი სიბო



ერთი კაცი ქარბუქში გზას მიივლევდა და ქარს რომ არ წაედო, ბუჩქებს ეჭიდებოდა. დალოლილმა და სიცივისგან გათოშილმა ღმერთს შეევედრა, ღმერთო, დამახანე, რომ ამ უბედურებაში მართო არა ვარ, თორემ სისხლი მეყინება და ვკვდებიო.  
- საკუთარი თავის გადასარჩენად სხვისი უბედურების დანახვა რაში გჭირდება?... - გადმოსძახა ღმერთმა.  
სხვისი უბედურების დანახვა კი არა, სხვისი სიბო მჭირდებაო, - ასძახა ღმერთს.

## ღვთის სასჯელი

ღვთის სასჯელი იწვია. გამოიარა ძალღმობა და ჩაილაპარაკა, ამისთანა ბინძური მეგობრის გვერდით ცხოვრება ღვთის სასჯელიაო.  
ღვთის სასჯელი წამოდგა და ძალღმობა მიაძახა, დღე და

## ვისაც არ ვახსოვარ, პირც მე ვახსენებ

წვიმა და თოვლი აღარ მოდიოდა. სიცოცხლე საფრთხის წინაშე დადგა; მინდორ-ველი გადაიქცა, ხეები გადახმა, გვამებით აყროლდა დედამიწა. ერთი ჭიქა წყალი, ერთი ტონა ოქრო ღირდა. საგონებელში ჩავარდნილმა ადამიანებმა ღმერთის ლანძღვა-გინება დაიწყეს. უცებ, ისეთი წვიმა წამოვიდა, მდინარეები წყლით აივსო, დედამიწა დაღბა და დარბილდა, საყარო გამოცოცხლდა, ცხოველებმა წყურვილი მოიკლეს, მოლონიერდნენ, ადამიანებს გულში ხვალინდელი დღის იმედმა დაისადგურა.  
- უფალო, ადამიანებმა გლანდღეს და მოწყალეობა გაიღეს?... - ჰკითხა ანგელოზმა.  
- დაეწყებას ლანძღვა სჯობია, - მიუგო უფალმა, - სამყარო იმხელაა, ვისაც არ ვახსოვარ, ვერც მე ვახსენებ.

## რუხა

საჩვენებელს ტყეში ერთი მგელი ცხოვრობდა, სახელად რუხა. შიმშილობა იყო და რუხას ერთი ისეთი დღე არ გასტენებია, მის გამხმარ სახეს ღიმილი მოჩვენოდა; ერთთავად თვალსრეზიანი დაიარებოდა. დღე მზეს შუკმუოდა და ღამე - მთვარეს.



ერთ დღეს, ლასლასით შინ მიმავალს გონება გაუნათდა. შვინდაკრავაში მცხოვრები მეგობარი გაახსენდა. იფიქრა, წავალ, კარზე მივადგები, მეგობარი სიკეთე მიქნის და გაჭირვებაში დამხმარდებაო. ქონის კარი ჭრიალით გააღო, გამოცარიელებულ კედლებს თვალი მოავლო და ისეთი ვერაფერი დაინახა, რაც მეგობრისთვის მისართმევად ივარგებდა. კარი ჭრიალითვე გამოიხურა და შვინდაკრავას გზას დაადგა.  
მეგობარი რის მეგობარი იყო, გაჭირვებაში არ დახმარებოდა; ერთი კვირა ასვა, აჭამა, ცოტა მოათვრიანა და ლისის ტყეებში ცნობილ მგელს - ზნექას წარუდგინა და სთხოვა, რუხა მოკამაგირედ დაეყენებინა. ზნექამ, ნათესაობის ხატით, უარი ვერ უთხრა და რუხა მოკამაგირედ დაიტოვა. დღეში ორი ნაჭერი ხორცი დაუნიშნა, ერთი დილით და ერთი საღამოთი. რუხას სხვა რა გზა ჰქონდა, შიმშილით სიკვდილს ეს პირობა ამტკობინა და შეუდგა საქმეს. პირველ ხანებში მგელს არ უჩიოდა. დავალეგული ჰქონდა ნანადირევის დაბინავება. ტყე-ტყე ხეტიალით თავს არ იღლიდა და იცოდა, ორი ნაჭერ ხორცს მიიღებდა, მაგრამ... როგორი საქმეა, ამოღონა ხორცი შენს ხელში გადიოდეს და ზნექას ელოდო, ერთ ნაჭერს როდის გადმოგივადგებს. ლოდინი აუტანელი გახდა. ქურდულად ჭამას როგორ იკადრებდა? არადა... ამდენ სასმელ-საჭმლის ყურებას ვეღარ უძლებდა. თითქოს მის ჭიზრზე, გადმოდგებოდნენ ზნექას ლეკვები და დილიდან საღამომდე ხორცის დარჩეულ ნაჭრებს სძიძენდნენ.  
გავივლიდა ზნექა და რუხა თვალს გააყოლებდა, გამოვივლიდა და გამოაყოლებდა, ან ახლა გადმომივადგებს ჩემს კუთვნილ ხორცს და ან ახლაო. დაილია, საწყალი... ითმინა, ითმინა და ერთ დღესაც გავარდა და გაიქცა.  
შვინდაკრავაში ისევ ის მეგობარი შემოხვდა.  
- რუხა, ძმაო, საქმეზე დავაყენე, შენ კი მიაგდე და წამოხვედი. ცხოვრებას როგორ აპირებ? - შევიკითხა შენგებულ მეგობარი.  
- ძმაო, შენი ძალიან მადლობელი ვარ, მაგრამ... სხვის ხელეში ყურებას, ჩემი სიღარიბის ყურება მირჩენია. - უთხრა რუხამ, დაემშვიდობა და წავიდა.

პირველად!

ზაზა ფაჩულია დასავლეთ კონფერენსიის ჩემპიონია!

ზაზა ფაჩულია გახდა პირველი ქართველი კალათბურთელი, ვინც ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის დასავლეთ კონფერენსიის ჩემპიონობა მოიპოვა.

„გოლდენ სტიეტი“ გავსვლაზე „სან ანტონიო“ 129:115 დაამარცხა, მაგრამ, სამწუხაროდ, ზაზა ფაჩულიას ტრავმის გამო არ უთამაშია.

„გოლდენ სტიეტი“ ნბ-ს ისტორიაში პირველი გუნდია, რომელიც სუპერფინალში ისე გავიდა, რომ ერთი შეხვედრაც არ წაუგია. ფაჩულიას გუნდმა სერია მშრალზე 4:0 „პორტლენდს“, „იუტას“ და „სან ანტონიოს“ მოუგო.

რაც შეეხება უშუალოდ შეხვედრას, „მეომრები“ სტარტზევე დანინაურდნენ, ტეხასელები კი მთელი თამაშის განმავლობაში მდევრის როლში იყვნენ. მატჩში ყველაზე მეტი – 36 ქულა სტევ კა-




რიმ ჩააგდო, ხოლო კევინ დიურანტმა ორმაგი დუბლი შეასრულა – 29 ქულა, 12 მოხსნა. „სან ანტონიოში“ 20 ქულით ანდერსონი გამოირჩა.

სუპერფინალში „გოლდენ სტიეტის“ მეტოქე „კლივლენდი“ – „ბოსტონის“ დაპირისპირებაში გამარჯვებული იქნება. „კავალიერზი“ სერიას 2:1 იგებს.

პიტალი ჯაფარიძე

ტანდემი



„როლან ბაროზი“ მსოფლიოს ნომერ მეორე ჩოგბურთელის ნოვაკ ჯოკოვიჩის მწვრთნელი დიდი სლემის 8-ჯგუფის ჩემპიონი ანდრე აგასი იქნება. აღნიშნულ ინფორმაციას L'Equipe ავრცელებს.

ჯოკოვიჩმა თავისი გუნდიდან ჯერ

ამერიკიდან - აგასი

ბორის ბეკერი გაუშვა, ხოლო შემდეგ – მარიან ვაიდა, რომელიც ნოვაკს 2006 წლიდან წვრთნიდა.

ლეგენდარული ანდრე აგასი ახლა 47 წლისაა და ამერიკელს აქამდე მწვრთნელად არცერთ ჩოგბურთელთან არ უმუშავია. აგასიმ საჩოგბურთო კარიერა 2006 წელს დაასრულა.

„როლან გაროს“ საკვალიფიკაციო ეტაპი უკვე დაიწყო და ამ დღეებში დასრულდება.

კობა კობახიძე

საფეხურთო მოუხიპა


ბრიზმანი „მანჩესტერს“ არ გამოირჩება

მადრიდის „ატლეტიკოს“ თავდამსხმელი ანტუან გრიზმანი არ გამოირჩება, რომ კარიერა „მანჩესტერ იუნაიტედში“ გააგრძელოს. როგორც ფრანგმა ფეხბურთელმა აღნიშნა, „იუნაიტედში“ გადაბარების შანსი დიდია.

„მანჩესტერი“? – რა თქმა უნდა, შესაძლებელია. 60% არის იმის შანსი, რომ „იუნაიტედში“ გადავიდე“, – თქვა გრიზმანმა.

26 წლის შემტევს „ატლეტიკოსთან“ მიმდინარე ხელშეკრულება 2021 წლის ზაფხულამდე აკავშირებს, შესაბამისად, ინგლისელებს მისი ტრანსფერის სანაცვლოდ სოლიდური თანხის გადახდა მოუწევთ. გრიზმანი „ატლეტიკოში“ 2014 წლიდან თამაშობს. ან დასრულებულ სეზონში მან ლა ლიგის ეგიდით 36 შეხვედრა ჩაატარა და 16 გოლი გაიტანა.

აღსანიშნავია, რომ „ატლეტიკო“ უკვე შეუთან-



ხმდა გრიზმანის თანამემამულეს ალექსანდრ ლაკაზეტს და იგი დიდი ალბათობით მალე თეთრ-წითელ მანსურს მოირგებს.

„იუვენტუსმა“ კუადრადო გამოიყიდა

იტალიის ჩემპიონი „იუვენტუსი“ დამდეგი სეზონისთვის თადარიგს უკვე იჭერს – როგორც „ბენერო ქალბატონის“ ვებგვერ-



დი გვატყობინებს, კოლუმბიელი ნახევარმცველი სუან კუადრადო ტურინში 2020 წლის ზაფხულამდე დარჩება.

„იუვენტუსმა“ სამხრეთამერიკელის სანაცვლოდ „ჩელსის“ 20 მილიონი ევრო გადაუხადა და მისი სატრანსფერო უფლებები სრულად გამოიყიდა.

კუადრადო „იუვენტუსში“ 2015 წლიდან თამაშობს, თუმცა, განვლილი ორი წელიწადი მან იტალიაში იჯარის წესით გაატარა. 28 წლის ფეხბურთელმა ამ დროის განმავლობაში ტურინელთა რიგებში 83 ჩატარებულ მატჩში 8 გოლის გატანა მოახერხა.

შეგახსენებთ, რომ „იუვენტუსმა“ ცოტა ხნის წინათ მიუნხენის „ბაიერნიდან“ მესჭი ბენატიას სატრანსფერო უფლებები გამოიყიდა.

სიურპრიზი

ქართული „ბრინჯაო“ ევროპის თასზე

ახლახან ავტომობილებმა სანდრო ლომამემ და მეველედ მელამემ ევროპის თასის პირველ ეტაპზე იასპარეზეს, რომელიც ბულგარეთში გაიმართა. ქართულმა წყვილმა ევროპის თასზე მესამე ადგილი დაიკავა, ბულგარეთის პირველობის ეგიდით გამართული რბოლა კი მოიგო.

„ჩვენ მაქსიმუმზე მეტი გავაკეთეთ. ტექნიკური დათვალეირების შემდეგ ფიქრობდნენ, რომ მონინავეთა შორის ვერ მოგხვდებოდით, რადგან მანქანას უამრავი ქარხნული წინი ჰქონდა, თუმცა, წარმატების მოსაპოვებლად ყველაფერი ვიღონეთ და

ყველას დიდი სიურპრიზი შევთავაზეთ“, – განაცხადა სანდრო ლომამემ, რომლისთვისაც ეს პირველი საერთაშორისო რბოლა იყო 2011 წლის შემდეგ.

მისივე თქმით, ბულგარეთში მოპოვებული მესამე ადგილი დამატებითი სტიმული იქნება მომდევნო რბოლებისთვის უკეთესად მოსამზადებლად.

ზადრი იაშვილი



ინტერნეტიდან

ჩრდილოეთი კორეა მაინს სხვაა

ჩრდილოეთი კორეის დიქტატორი კიმ ჩენ ირი გადარეული და უცნაური კაცი რომაა, ეს მთელმა მსოფლიომ იცის და მისგან არც სისასტიკე უკვირს ვინმეს, მაგრამ მისი ახირებები სპორტსაც ასე ძალუმაღ თუ გადასწვდებოდა, შეიძლება ბევრს ვერც წარმოედგინა, რადგან ჩენი წარმოდგენები დიქტატორებს სულაც არ ანაღვლებთ.

ერთი სიტყვით, კორეის ხელისუფლების უშუალო ინციტივით კორეელი სპორტსმე-

ნი ქალებისათვის სპორტული ამუნიციის სტანდარტები მკაცრად განისაზღვრა და ამიერიდან ზუსტადაა განერილი, როგორი სიგრძის კაბებს, როგორი სიფართის შარვლებს, ზედატანებსა თუ აზღუდებს ჩაიცვამენ კორეელი სპორტსმენი ქალები.

ჩრდილოეთ კორეის ხელისუფლება ამას მორალური ღირებულებების დაცვის სურვილით ხსნის და ამბობს, რომ მისთვის მიუღებელია ღრმად დეკოლტირებულ და მოკლე კაბებში გამოწყობილი სპორტსმენი ქალები, რადგან ეს კორეელთა ტრადიციებს შეურაცხყოფს. თუკი სხვა ქვეყნები ასეთ შეზღუდვებამდე რელიგიური მოტივებით მიდიან, ჩრდილოეთი კორეა სრულიად უნიკალური შემთხვევაა და ღიად ათვისებული სახელმწიფოსგან ასეთ ნაბიჯებს ბევრი ალბათ არ მოელოდა. დიქტატორებს რას გაუფგებთ ჩენი?...

როსტომ რაჭველიშვილი



შინაგონი

ქარსვა „ჯეოსელურად“

საქართველოში ამჟამინდელი ცხოვრება კარიკატურულ ჯუნგლებში ყოფნას წააგავს, სადაც იარაღს მას - მსხვერპლმა ის დროზე ადრე ხომ ვერ უნდა აღმოაჩინოს...

თამაშის წესები ძალიან კარგადაა ცნობილი: მონადირე ხაფანგს აგებს და ოსტატურად ნიღბა მას - მსხვერპლმა ის დროზე ადრე ხომ ვერ უნდა აღმოაჩინოს...

მაგრამ ერთხელაც, მიზეზთა გამო, პაკეტის გახანგრძლივება და მიგვიანდა, ფული 3 მაისს უნდა შემეტანა, მაგრამ ვადას გადავაცილე...

ისის ავბედითი დღის განმავლობაში მოდიოდა, რაც მკაფიოდ მაქვს დაფიქსირებული 00:39 საათზე, 01:20 საათზე, 09:14 საათზე, 17:10 საათზე.

კიდევ რისი თქმა შეიძლება? ერთია რომ ეს, როგორც ამბობენ, დღისით-მზისით წმინდა წყლის ყაჩაღობაა. ისმება კითხვა, - რა უფლებით ჩამომანერა კომპანიამ ჩემი ან-გარიშიდან ყველა დაგროვილი წუთი, სმს-ები, გეგაბაიტები და ა.შ., თუკი ყველა ამ მომსახურებას მე ნახევარი წლის განმავლობაში ვყიდულობდი...

და მეორე, ანუ არსებითად ის, რის გამოც წინამდებარე მასალა დაწერილი: ესაა სხვისი ფულს „ჯეოსელური მონადირეების“ მსგავსება ჯუნგლის ზემოაღწერილ კარიკატურულ მონადირეებთან.

კითხვა ასე ისმის: თუკი თქვენ ამდენად პუნქტუალური ბრძანებით კლიენტებისთვის თქვენს სმს-შეტყობინებებში პოსტფაქტუმ მათთვის გადახდის ვადის გადაცილების თაობაზე, მაშ, რატომ არ ფიქრობთ იმას, რომ ამ ხალხს თუნდაც ერთ სმს-ით შეახსენოთ, რომ მორიგი გადახდის ვადა ამა და ამ დღის 00:00 საათზე იწურება?

აღნიშნული მასალის შესავალში აღწერილი კარიკატურული მონადირე სცენარით, სწორედ ისე უნდა მოიქცეს, როგორც თავიანთ კლიენტებს ჯეოსელური „მონადირეები“ ეპყრობიან: უნდა იჯდეს ჩასაფრებული და ელოდოს, ვიდრე ნადავლი, ანუ ჩვენ ერთად, პატივცემულ მკითხველო, ამ ხაფანგში მოვხვდებით.

მთელი მულამიც ესაა. ვადი ანასტასიადი, გამთე „პენინი თაილისი“ მთავარი რედაქტორი

პრიმიტივი

ე.ნ. საზღვრის უკანონო კვეთისთვის გერმანიის მოქალაქე ლაქაძე

აფხაზეთში, გალის რაიონის სოფელ ფიჩორში რუსეთის სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლებმა გერმანიის მოქალაქე ე.ნ. საზღვრის უკანონო კვეთის ბრალდებით დააკავეს.

არსებული ინფორმაციით, გერმანიის მოქალაქე საქართველოდან აფხაზეთში, „საზღვრის უკანონო კვეთით“ შევიდა. დაკავებული გერმანელის თქმით, ის ფეხით მოგზაურობს და აფხაზეთის ე.წ. სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის შესახებ ინფორმაცია არ ჰქონია.

ტელეკომპანია „იმედის“ ცნობით, რუსეთის სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლებმა, სიტუაციაში გარკვევამდე, გერმანიის მოქალაქე აფხაზეთის შესაბამისს უწყებებს გადასცეს.

მინის ნაკვეთებს თაღლითურად დაუფლნენ


საბამომიძე სამსახურის ინფორმაციით, ორგანიზებული ჯგუფის წევრებმა, სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული დიდი ოდენობით მინის ნაკვეთი მათთან დანაშაულებრივ კავშირში მყოფი ათეულობით მოქალაქის სახელზე, 2014-2017 წლებში დაამზადეს მინის ნაკვეთის ყალბი მიღება-ჩაბარების აქტები, რაც წარადგინეს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში და საკუთრებაში დაარეგისტრირეს თბილისში, გლდანის რაიონში, თბილისის ზღვის მიმდებარედ, ავშნიანის დასახლებაში მდებარე 3 694 840 ლარის ღირებულების 59 630 კვმ მინის ნაკვეთი.

გამომიძეა 180-მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ და მეოთხე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს, რაც 7-დან 10 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

„გადანერე „ვეფხისტყაოსანი“ ბრძაღვა

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ორგანიზებით, პროექტი „გადანერე ვეფხისტყაოსანი“ გრძელდება. 23-24 მაისს, 21-ე საუკუნის ხელნაწერი „ვეფხისტყაოსნის“ შექმნაში მონაწილეობის მიღება ამჯერად, ქუთაისის, ოზურგეთის, ბათუმისა და ზუგდიდის მოსახლეობას შეეძლება.

„ვეფხისტყაოსნის“ გადანერის ცერემონია 23 აპრილს, 11:00 საათზე, ქუთაისის ლადო მესხიშვილის თეატრში დაიწყება, 15:00 საათზე კი ოზურგეთში, მერაბ ბერძენიშვილის სახელობის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრში გაგრძელდება. ამავე დღეს, 19:00 საათზე, „ვეფხისტყაოსანს“ გადანერენ შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში.



სანთელი ბაზონ გურამ გოგიაშვილს იმ დიდი და აუნაზღაურებელი ტრაგედიის გამო, რაც თქვენს ოჯახს დაატყდა, ვერავითარი სიტყვებით ვერ განუგებებთ. ვაჟკაცი ბრძანდებით, გამაგრდით. გულწრფელი თანაგრძნობით, ვალსაგა დოლიძე

განცხადება 2017 წლის 14 ივნისს დღის 12 საათზე დანიშნულია სს „ლალიძის“ აქციონერთა საერთო კრება. დღის წესრიგი: 1. 2016 წლის წლიური ბალანსის განხილვა; 2. 2016 წლის მოგების განაწილება. სს „ლალიძის“ ადმინისტრაცია მისამართი: ქ. თბილისი, წინამძღვრი შვილის ქ. №150.

GEO-HOLDING ფინანსური კომპანია პირველად საქართველოში! შეზღუდული შემოთავაზება! ჩვენ დავფარავთ თქვენს სესხს საქართველოს ნებისმიერ ბანკში! სესხის თანხის 25-40 პროცენტი ერთჯერადი გადახდა და თქვენ სამუდამოდ დაივიწყებთ სესხის შესახებ! წინასწარი დაფარვა! უკეთესობისკენ ცვლილებები დაიწყება ჩვენთან ვიზიტის შემდეგ! მის: გლდანი, ვეკუას ქუჩა №12, ახმეტელის თეატრის მიმდებარედ. ტელ +995 557 575 323 +995 557 575 811 ელ. ფოსტა: kredit-georgia.com

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა აუციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306'6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი პოლინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუციონის თინათინ საყვარელიძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

- აუციონი ტარდება შემდეგი პირობებით: 1. უძრავი ნივთის მესაკუთრე: თინათინ საყვარელიძე (პ/ნ 01017008879), თბილისი, ალ. გრიბოედოვის ქ. №5; უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა: თბილისი, ალ. გრიბოედოვის ქ. №5 (საკადასტრო კოდი: 01.15.05.010.016.01.511). უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით. 2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი: 221830.25 ლარი. 3. აუციონის დაწყების დრო: 2017 წლის 5 ივნისი, 17:30 საათი; 4. აუციონის ჩატარების ადგილი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5; 5. მოვალე: შპს „სიტრონ ჯორჯია“ (ს/კ 402033839), თბილისი, რაფიელ ერისთავის ქ. №6, ბინა 1; გიორგი შარაშიძე (პ/ნ 01008033329), თბილისი, რაფიელ ერისთავის ქ. №6, ბინა 1. 6. აუციონის ჩამატარებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი: შპს „ემჯი პოლინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31; ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5; 7. აუციონის პირობები: • აუციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს; • მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეიღებოს აუციონის შედეგად, უფლება აქვს, აუციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუციონი; • აუციონში მონაწილეობის მსურველმა, აუციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი - ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“. • აუციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შექმნიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი პოლინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუციონი. აუციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოემოხება ფასის სრულად გადახდის შემდეგ. ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2017 წლის 5 ივნისის 17:30 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.

# გილოსავთი, ქალბატონო ვიქტორია!



დღეს ქალბატონ ვიქტორია სირაძის დაბადების დღეა. ვულოცავთ! ამ კვდემამოსილ, ამასთან პრინციპულ, მტკიცე ხასიათის, ერუდირებულ ქალბატონს, უდიდესი წვლილი აქვს შეტანილი საქართველოს სახელმწიფოებრიობის განმტკიცების, ქართული მეცნიერებისა და კულტურის განვითარების საშვილიშვილო საქმეში. იგი ყოველთვის მხარში ედგა ჩვენი ქვეყნის ინტელიგენციას, გზას უკვალავდა ახალ თაობებს, ხელს უწყობდა კულტურათა

დაახლოებას და დაუზარებლად ზრუნავდა ქართული სულიერების, ეროვნული იდენტურობის, საუკუნოვანი ტრადიციების შესანარჩუნებლად.

საქართველოს სახელმწიფო მოღვაწეთა შორის მისი სახელი განსაკუთრებული ბრწყინვალეობით გამოირჩევა.

ჯანმრთელობა და დიდხანს სიცოცხლეს გისურვებთ, ქალბატონო ვიქტორია, მრავალეულო!

ნუგზარ ფოფხაძე  
არმაზ სანუაშვილი

## რეიტინგი

# ჯერჯერობით ასეულს მიღვა

იმის მიუხედავად, რომ საქართველოს მოსახლეობას აუარება ყოფითი პრობლემა აქვს და მატერიალურადაც არცთუ გამართულად ცხოვრობს, უახლოეს სამეზობლოში ქვეყანა მაინც არ ყოფილა ყველაზე ღარიბი.



ამ დასკვნის გამოტანის საშუალებას საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემებზე დაყრდნობით ყოველთვიური საფინანსო ურუნალის „გლობალ ფაინანსის“ მიერ შედგენილი ნუსხა იძლევა. ამ შემთხვევაში კრიტიკერიუმად ერთ სულ მოსახლეზე ქვეყანაში წლის განმავლობაში წარმოებული მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ოდენობა გამოყენებული (აქვე იმასაც ვიტყვით, რომ აღნიშნული პარამეტრი მართალია, გარკვეულ წარმოდგენას კი იძლევა ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკის საერთო მდგომარეობაზე, მაგრამ მოსახლეობის რეალურ მატერიალურ მდგომარეობას ნაკლებად ასახავს. — რედ.). აღსანიშნავია, რომ უმდიდრესი ქვეყნების ნუსხაში ამერიკის შეერთებულ შტატებს „უილბლო“ №13 „შეხვდა“, დანარჩენმა „ბობოლემა“ კი შემდეგი ადგილები დაიკავეს: გერმანიამ — მე-19, დიდმა

ბრიტანეთმა — 27-ე, საფრანგეთმა — 28-ე  
ამ სიაში საქართველოს 108-ე ადგილი აქვს მიჩენილი ჩვენს მეზობელ რუსეთს — 52-ე ადგილი, თურქეთს — 63-ე ადგილი, აზერბაიჯანს — 71-ე ადგილი. სომხეთმა კი, 189 ქვეყანას შორის, 114-ე ადგილი დაიკავა.

მსოფლიოს უმდიდრესი ქვეყნების ლიდერთა ათეულში არიან: ყატარი, ლუქსემბურგი, მაკაო, სინგაპური, ბრუნეი, ქუვეითი, ირლანდია, ნორვეგია, არაბეთის გაერთიანებული საემიროები და სან-მარინო.

გამოცემის ექსპერტები აღნიშნავენ, რომ სიმდიდრის ძირითადი წყარო ამ ქვეყანაში ენერგოშემცველების — გაზისა და ნავთობის დიდი მარაგებია, ხოლო ნუსხაში მოხვედრილმა კიდევ ხუთმა ქვეყანამ კეთილდღეობის მიღწევა განვითარებული საფინანსო სექტორისა და დაბალი გადასახადების წყალობით შეძლო, რაც საერთაშორისო ინვესტორთათვის უაღრესად მიმზიდველი გარემოებაა.

აღსანიშნავია რეიტინგის შემადგენელთა ერთი საგულისხმო შენიშვნა, რომელიც ნუსხაში შესული ყველა ქვეყნისთვის ერთიან თავისებურებას ეხება: ესაა მოსახლეობის მცირერიცხოვნობა.

„გლობალ ფაინანსის“ ექსპერტთა დასკვნით, მსოფლიოს უღარიბესი ქვეყნების სია ასეთია: ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა, კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა, ბურუნდი, ლიბერია და ნიგერი.

წინო ალექსანდრიძე

## ჩვენი სამზარეულო

# ვიკვებოთ სწორად და... იაფად

თქმა არ უნდა: საზოგადოების უმეტეს ნაწილს დიდად აინტერესებს, თუ როგორ შეიძლება ჯანმრთელობისთვის ზიანის მიუყენებლად კვების ხარჯის შემცირება. კვებასა და ბიოტექნოლოგიების სპეციალისტები ამასთან დაკავშირებით რამდენიმე საგულისხმო რჩევას იძლევიან.

1. დიეტა საკუთარ თავზე მოირგეთ! არ ღირს კვებაში ახალმოღერი ინსტრუქციების ბრმად მიყოლა. თავისუფლად შეიძლება ნებისმიერი საჭირო დიეტის საკუთარ ფინანსურ შესაძლებლობებსა და მიმდინარე სეზონზე მორგება. მაგალითად, ხმელთაშუაზღვისპირული დიეტა რეკომენდებულია გულის სისხლძარღვთა დაავადებათა პროფილაქტიკისათვის, სიცოცხლის გახანგრძლივებისათვის, რასაც ხელს უწყობს მასში შემავალ სურსათში დიდი ოდენობით პოლიგაჯერებული მჟავებისა და უჯროვანის არსებობა. მაგრამ, ამავე დროს, ძვირიანი წითელი თევზის მაგივრად, შეგიძლიათ უფრო იაფიანი ვირთევზას, ქაშაყის, სკუმპრიას შექმნა. იმავეს თქმა შეიძლება ხილზეც.



2. ნუ მოერიდებით ახალი ბოსტნეულისა და ხილის მაგივრად გაყინულის შექმნას. თანაც, მოხმარეთ როგორც საკუთრივ თქვენი დამზადებული, ასევე მაღაზიაში შექმნილი ახლადგაყინული სურსათი, რომელიც გაცილებით იაფი დაგიჯდებათ. გახსოვდეთ, რომ გაყინული ბოსტნეული თითქმის ყველა სასარგებლო თვისებას ინარჩუნებს.

3. ისწავლეთ მენიუს წინასწარ დაგეგმვა და ნუ დაიზარებთ საჭმლის თავად კეთებას, სახლში დამზადებული საჭმელი ყოველთვის უფრო გემრიელია კაფეებში თუ ქუჩის ჯიხურებში ნაყიდებ. რესტორანში მომზადებული იგივე კერძი, შინ მომზადებულთან შედარებით, 100-150-ზე მეტ კილოკალორიას შეიცავს. უარი თქვით ნახევარფაბრიკატების — სოსისის, ძეხვის, ხინკლის მოხმარებაზე.

4. ნუ წამოეგებით „სუპერფუდების“ აქტიურ რეკლამას. თითქმის ყველა მათგანს თავისუფლად

შეიძლება სამამულო ანალოგი შევუდროთ. მაგალითად, ნაირ-ნაირი უცხო კომპოსტოს ჩანაცვლება ჩვეულებრივი, „ჩვენებური“ კომპოსტოთი ან მჟაუნათი შეიძლება. არსებობს თეორია, რომლის თანახმად, ადამიანი სასარგებლო ნივთიერებებს გაცილებით უკეთ იმ ხილიდან და ბოსტნეულიდან ითვისებს, რომელიც მის მშობლიურ მხარეში იზრდება.

5. მიირთვით დაუნაწევრებელი თავთავიანი ნივთიერებები და მზადებულ მაკარონი და ბურღულეული. თუკი ჭარბი წონა არ გაწუხებთ, მაშინ ბურღულის, მაკარონისა და პიურეს სადილად გარნირად გამოყენებას ნუ მოერიდებით. ეს სადილს უფრო ნოყიერს გახდის და ვახშამზეც ნაკლებ მადაზე იქნებით.

6. მაინცდამაინც ზეითუნის და სხვა ამცენარი ზეთების მოხმარებას ნუ დაიჩემებთ. მცენარეული ზეთი — ესაა პოლიგაჯერებული ცხიმოვანი მჟავების წყარო. მაგრამ, თუკი თევზს კვირაში 2-3-ჯერ მაინც მიირთმევთ, მაშინ თქვენ მათ საჭირო ულუფას იღებთ. გახსოვდეთ: ნებისმიერი ზეთი — ესაა სუფთა ცხიმი. ამიტომ, ჯანსაღი კვებისთვის საჭიროა მისი მოხმარების მაქსიმალურად შემცირება.

მომზადებული ხუნდაძემ

## უფასო სასწრაფო კვლიატიული სერვისის მიღება ბინაზე

ბავშვთა სასწრაფო სამედიცინო დახმარება „პედიატრი“ თბილისში ახალ პროექტს იწყებს. 15 მაისიდან მშობლებს საშუალება ექნებათ სრული პედიატრიული და ამბულატორიული სერვისი ბინაზე მიიღონ და ბავშვს პოლიკლინიკის სტრუქტურული გარეშე აარიდონ. სასწრაფო „პედიატრი“ პაციენტს ბინაზე სრულიად უფასოდ მოემსახურება. ექიმი პედიატრის დახმარებით მოხდება დაავადების შესაბამისი მკურნალობის დანიშვნა და მისი შემდგომი პატრონაჟი.

პედიატრიული მომსახურების მიღება შესაძლებელია 16112 ნომერზე დარეკვით ნებისმიერი ქსელიდან, ყოველგვარი წინასართის გარეშე. ქოლ-ცენტრის მიერ შეფასდება პაციენტის მდგომარეობა და პედიატრები საჭირო მომსახურებას დაგეგმევენ.



სასწრაფო „პედიატრის“ უფასო აქცია წლის ბოლომდე გაგრძელდება. საწყის ეტაპზე აქციაში დიდი დილის და თემქის უბნების 0-დან 16 წლამდე ბავშვები ჩაერთვებიან, რომლებიც კერძო დაზღვევით არ სარგებლობენ. სასწრაფო „პედიატრის“ უფასო მომსახურება ეტაპობრივად თბილისის ყველა უბანს დაფარავს.

საქართველოს რესპუბლიკა  
SAKARTVELOS REPUBLIKA  
სულხან-საბას ძ. №3

მთავარი რედაქტორი  
სპარტაკ ძოშულია  
293-13-34  
599 36-00-35  
პასუხისმგებელი რედაქტორები:  
გურამ გომიაშვილი  
599 53-76-16;  
ალექო  
ასლანიშვილი  
599 56-81-86;  
პასუხისმგებელი მდივანი  
მამუკა ვაშაკიძე  
514 33-33-24

გამომცემელი:  
შპს „თანადამომსახურება“-1-გაზეთ  
„საქართველოს რესპუბლიკის“  
გამომცემელი“  
ტ: 599 79-76-79  
შპს „ახალი საუკუნე“  
იბეჭდება გამომცემლობა  
„კოლორ პრესში“  
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაქ)070.4(479.22)  
ს-323  
ISSN 2233-3851  
9 772 233 385 001

ავტორთა საყურადღებოდ!  
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“  
შენი ბავთია,  
აუსილებლად  
წაიკითხე!

საქართველოს რესპუბლიკის  
საგარეო ურთიერთობების  
სახელმწიფო სამსახურის  
საინფორმაციო ცენტრი  
საქართველოს რესპუბლიკის  
საგარეო ურთიერთობების  
სახელმწიფო სამსახურის  
საინფორმაციო ცენტრი

აპრილი 24 მაისისთვის  
აპრილისთვის საქართველოს  
ბანი - ღირს +10 ღირს +23  
პირველი რაიონი - ღირს +4, ღირს +17  
დასავლეთი საქართველოს  
ბანი - ღირს +7, ღირს +19  
პირველი რაიონი - ღირს +4, ღირს +16  
თბილისი - ღირს +13, ღირს +23

დაგვიკავით, მოგვწერით:  
ტელ: 293-13-34,  
599-79-76-79  
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru  
და sakresp@top.ge